



ციხეხანი

№ 84 / 11-17 ივლისი / 2011

რა იცვლება სტატუსის მინიჭებით? **33. 06**

ევროპის უკანასკნელი დიქტატორი **33. 08**

ინტერვიუ: თამარ კორძია **33. 22**

პარლამენტის ფიქტიური კენჭისყრა **33. 24**

სელისუფლების ინტერესების დამცველი მართლმსაჯულება **33. 26**

რა ეშველება თბილისის ქველ უბნებს? **33. 32**

რა როლს თამაშობს „რელიგიურობა“ ქართულ პოლიტიკაში **33. 38**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

მთავარი თემა

ფოტოგაზრობების სანაშაბი



FMM

სტუდია

98.0





ფოტო თემო ბარჩხვაძე

ფოტოგრაფების საპროტესტო მდუმარე აქცია მოდულის შენობის წინ, თბილისი, 8 ივლისი, 2011

ნომერში:

- 02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**
რა შეიცვლება რელიგიური კონფესიებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებით?
ნუგ ზარ ნიკლაური VS დავით უსუფაშვილი, დავით ბერძენიშვილი
- 08 **მსოფლიო**
ევროპის უკანასკნელი დიქტატორი
- 10 **მოსახლეობა**
დედამინა – 2050

- მთავარი თემა**
- 12 პირადი ფოტოგრაფი და ჯაშუშური ქსელი
ინტერვიუ
- 22 ფოტოგრაფების საქმე – გასაიდუმლოებული ინფორმაცია
თამარ კორძაია
- პოლიტიკა**
- 24 ფიქტიური კენჭისყრები **ადამიანის უფლებები და სამართალი**
- 26 ხელისუფლების ინტერესების დამცველი მართლმსაჯულება
საზოგადოება
- 28 ჯანმრთელობის დაცვის პერსპექტივები საქართველოში

- ურბანისტიკა**
- 32 რა ეშველება თბილისის ძველ უბნებს? – II
თვალსაზრისი
- 36 2001 წლის ივლისი *მარკ მალენი*
- 38 რა როლს თამაშობს „რელიგიურობა“ ქართულ პოლიტიკაში
გიორგი ცხადაია
- 42 **ტექნოლოგიები კულტურა**
- 46 „ტკბილი სახლის“ დისახლისები და მამასახლისები
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 48 კიდევ ერთხელ გაგიმარჯვოს იარაღო, შენ!



ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ხობოხ ვინამა პაჩაიანი სამყაროების ახსებობა

მერაბ მეტრეველის ბლოგი

2011 წლის 4 ივლისს, საღამოს ცხრა საათისთვის მივედი სახლში და ტელევიზორი ჩავრთე. ამ დროს ერთდროულად ორ არხზე გადის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „რუსთავი 2“-ზე და „მაესტროზე“. ამიტომ ყოველთვის არჩევნის წინაშე ვდგავარ, რომელს ვუყურო. ხან ერთს ვირჩევ, ხან მეორეს. იმ დღეს „მაესტრო“ ავირჩიე. ვუყურე. შემდეგ გადავწყვიტე, თანამედროვე ტექნოლოგიების სიკეთით მესარგებლა და ინტერნეტში „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებაც მენახა. ამასაც ვუყურე და ...

ჯერ ვიფიქრე, რიცხვი ხომ არ შემეშალა-მეთქი. გადავამოწმე – არა, იმავე დღის ცხრა საათიანი „კურიერი“ იყო. მერე ვიფიქრე, ქვეყანა ხომ არ შემეშალა-მეთქი, მაგრამ როგორ? აი, სწორედ მაშინ მოხდა, რომ პარალელური სამყაროების არსებობა დავიჯერე.

ერთ ქვეყანაში ერთი და იმავე დღეს გაკეთებულ ორ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში თითქმის არცერთი თემა ერთმანეთს არ ემთხვეოდა. თეორიული საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, თვალსაჩინოებისთვის ამ ტელევიზიების 4 ივლისის მთავარი საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტების და ინფორმაციების თანმიმდევრობას (ანუ როგორც ტელევიზიებში უნოდებენ, „ვიორსტაკს“), გავეცნოთ (არ დამეზარა და სპეციალურად ამოვწერე. დარმწუნებული ვარ, ისიამოვნებთ):

„მაესტრო“:

1. სიუჟეტი: „ოპოზიციური რვიანის“ დამოკიდებულება და „ექსპანსიის“ გეგმები;
2. სიუჟეტი: ქართული პარტიის ოფისს პოლიცია უთვალთვალავს;
3. წამყვანი ამბობს, რომ იმ წუთისთვის მიიღეს ინფორმაცია „ქართული პარტიის“ ოფისში პოლიციის შესვლის შესახებ. სატელეფონო ჩართვა პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან სოფიო ხორგუანთან;
4. სიუჟეტი: „სახალხო კრების“ აქციების დროს აჭარის ტელევიზიასთან მომხდარი ინციდენტისას დაკავებულების საქმის განხილვა სასამართლოში;
5. ისევ სატელეფონო ჩართვა „ქართული პარტიის“ პრესსამსახურის უფროსთან, რომელიც პოლიციის შესვლის დროს ოფისში იმყოფებოდა;
6. სიუჟეტი: „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა რუსეთის მთავარ სანიტარიულ ექიმს, გენადი ონიშენკოს შეხვდა და განაცხადა, რომ ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დასაბრუნებლად მხოლოდ სამართლებრივი და ტექნიკური დეტალები დარჩა მოსაგვარებელი;
7. სიუჟეტი: დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ კასრისწყლის მოსახლეობას ქვენარმავლების პრობლემა აწუხებს. მოსახლეობა ამბობს, რომ გველები სახლებში ძვრებიან;
8. სიუჟეტი: ინტერნეტსივრცეში არალიცენზირებული პროდუქცია აიკრძალება და ინტერნეტიდან ფილმების, თუ მუსიკის გადმოწერა ფასიანი გახდება;

9. სიუჟეტი: დებატები და ურთიერთბრალდებები ქუთაისის საკრებულოში. რაც აღმაშენებლის ძეგლის გადატანის თემის განხილვას მოჰყვა;

10. ეთნოგრაფიულ მუზეუმში აშშ-ს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს;
11. კორესპონდენტის პირდაპირი ჩართვა „ქართული პარტიის“ ოფისიდან და ინტერვიუები პირდაპირ ეთერში პარტიის ლიდერებთან, რომლებიც პოლიციის შემოსვლის შესახებ საუბრობენ;
12. საპროტესტო აქცია ეგვიპტეში;
13. იემენის პრეზიდენტი უფლებამოსილების გადაბარებას არ აპირებს;
14. ავღანეთში გაუჩინარებულ ბრიტანელ ჯარისკაცს ეძებენ;
15. ლონდონში რეიგანის ძეგლი გაიხსნა;
16. სიუჟეტი: საბერძნეთში დაკავებული „მშვიდობის ფლოტილის“ აქტივისტები საპროტესტო აქციას მართავენ;
17. ოთარ მარცვალიძის გოლი საუკეთესო გოლად აღიარეს;
18. საქართველოს კალათბურთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება.

„კურიერი“:

1. პირდაპირი ჩართვა ბათუმიდან და სიუჟეტი წინა დღეს გამართული სტინგისა და კრის ბოტის კონცერტის შესახებ, პირდაპირ ეთერში ინტერვიუ კონცერტის დირიჟორთან, ნიკა მემანიშვილთან;
2. სტინგი ყაზახეთში აღარ იმღერებს;
3. სიუჟეტი: ბათუმში 2 აგვისტოს ენრიკე

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდუაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქაჯავა / კეკელიძე კონსტანტინე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავა / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიანი
შპს „ლიბერალი“ მთავარი: თბილისი 0183, ფლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სსპს ბაქოშვილი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნისი: ადამიანები, მეოთხედი, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ფურცლები გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივ და/ან მთლიან გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge

იგლესიას იმღერებს (ამავე სიუჟეტში გაიხსენეს ყველა კონცერტი, რაც ბათუმში ბოლო წლებში გამართულა);

4. გადის სააკაშვილის განცხადება კონცერტებზე და ბათუმით ტურისტების დაინტერესებაზე. პრეზიდენტი ამბობს, რომ ასეთ დიდ დაინტერესებას ინვესტორები;

5. სიუჟეტი: რას სთავაზობენ ქართულ კურორტებზე დამსვენებლებს;

6. სიუჟეტი: წელს პირველად ზოგადი უნარების ტესტები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა. 100 საუკეთესო აზერბაიჯანულ და სომხ აბიტურიენტს სახელმწიფო სრულად დააფინანსებს;

7. სიუჟეტი: ოპოზიციის მოთხოვნით პარლამენტის წევრთა რაოდენობა 190-მდე იზრდება;

8. სიუჟეტი: არქეოლოგიური აღმოჩენა ქსანში;

9. მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე გარდაიცვალა;

10. სიუჟეტი: ავსტრიის სამეფო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე, ოტო ფონ ჰაუსბურგი გარდაიცვალა;

11. ლონდონში რეიგანის ძეგლი გაიხსნა;

12. მლადიჩის სასამართლო;

13. წყალდიდობა დანიაში;

14. ამინდი;

15. ესტონეთის პრეზიდენტის და მიხეილ სააკაშვილის ბრიფინგი;

16. სიუჟეტი: ქართველი წყალბურთელების წარმატება;

17. სიუჟეტი: კალათბურთის ნაკრების მზადება;

18. მარცვალადის გოლი;

19. ჯოკოვიჩმა უიმბლდონი მოიგო;

20. სიუჟეტი: ბოდიარტის საერთაშორისო ფესტივალი ავსტრიაში.

როგორც ხედავთ, მხოლოდ სამი თემაა ისეთი, რომელიც ორივე ტელევიზიამ მნიშვნელოვნად ჩათვალა: რეიგანის ძეგლის გახსნა ლონდონში, მარცვალადის გოლი და საქარ-

თველოს საკალათბურთო ნაკრების მზადება. დანარჩენი აბსოლუტურად განსხვავებული თემებია.

როგორ ფიქრობთ, რომელმა მაყურებელმა შეიქმნა იმ დღეს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ სრული წარმოდგენა: იმან, ვინც „მაესტროს“ უყურა, თუ იმან, ვინც „კურიერს“?

როგორ გგონიათ, როგორ უნდა გაიგოთ, ამა თუ იმ დღეს რა მოხდა ქვეყანაში მნიშვნელოვანი, თუკი ორივე არხის ყურების დრო არ გაქვთ, თანაც არ დაგაინტერესებთ „მაესტრო“ მხოლოდ თბილისს ფარავს?

და პატარა სახალისო სავარჯიშო მკითხველისთვის: თქვენ რომ ობიექტური და მიუკერძოებელი ტელევიზიის პროდიუსერი იყოთ, აქ ჩამოთვლილი ორივე ტელევიზიის მიერ გაშუქებული ამბებიდან, რას გაუშვებდით თქვენს გამოშვებაში. გაითვალისწინეთ, რომ თქვენს გამოშვებას აქვს შეზღუდული ქრონომეტრაჟი და 20 თემაზე მეტს იქ ვერ ჩაატვთ.



პროკრედიტ ბანკის ბანკში მიიჩვენა
ჩა აჩის ჩამოვიხსნათ

220 22 22
www.procreditbank.ge



ოპოზიციური "ქვეყნის" პოლიტიკური მოქმედებები

ექვსი ოპოზიციური პარტიამ 8 ივლისს ერთიანი პოლიტიკური კოალიციის შექმნის შესახებ განაცხადა. პარტიებმა, რომლებიც საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, გადაწყვიტეს, გაერთიანდნენ. კოალიციას სახელად – „თავისუფალი არჩევანისთვის“ ერქმევა და მისი მიზანი არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა იქნება. „თუ დღემდე საარჩევნო გარემოს შესაცვლელად სწორი საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიღწევას ვცდილობდით, დღეიდან ჩვენი ამოცანა ხდება საარჩევნო გარემოს შეცვლა მილიონი მოქალაქის აქტიური სამოქალაქო პოზიციითაც“, – წერია პარტიების მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელშიც კონკრეტულად განერილი „ექვსიანი“ წევრების მიზნები:

- ▶ დღეიდან ჩვენ ვერთიანდებით საარსებო გარემოს შესაცვლელად;
- ▶ ჩვენ ვალდებულნი ვართ, ძალისხმევა გავაერთიანოთ ხელისუფლების შესაცვლელად;
- ▶ ჩვენი ამოცანაა კოალიციური საპარლამენტო უმრავლესობის უზრუნველყოფა.

8 ივლისს, საზოგადოების წარმომადგენელ-

ბთან შეხვედრისას „ექვსიანი“ გააკრიტიკა ის ოპოზიციური პარტიებიც, რომლებიც ხელისუფლების საარჩევნო წინადადებებს დათანხმდნენ. მათი თქმით, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ და „ახალმა მემარჯვენეებმა“ ვერ გაუძღეს შანტაჟს და ბრძოლა ბოლო მომენტში შეწყვიტეს, მაშინ, როცა ხელისუფლება საერთაშორისო ზენოლის შედეგად უკვე იძულებული ხდებოდა, ოპოზიციასთან საერთო ენის გამონახვაზე ეზრუნა. „კოალიცია იღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, არჩევნების გზით შეცვალოს დღევანდელი ხელისუფლება, შექმნას კოალიციური მთავრობა, ქვეყანაში დაასრულოს პოსტსაბჭოური ნეობოლშევიზმის ეპოქა, დაამკვიდროს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მრავალპარტიული დემოკრატია და უზრუნველყოს ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია“, – ნათქვამია ახალი კოალიციის ერთობლივ განცხადებაში. ექვსიანი წევრები იქნებიან: „ეროვნული ფორუმი“, „თავისუფალი დემოკრატები“, „კონსერვატიული პარტია“, „რესპუბლიკური პარტია“, „საქართველოს გზა“ და „ხალხის პარტია“.

სახსრით მომხარობა ბაუფთხილიანე შაომთავაძე

სურსათის ბიზნესში მოქმედი კომპანიებისთვის ძალაში ახალი წესები შევიდა. სურსათის ეროვნულ სააგენტოს უფლება აქვს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე სანარმოებში არაგემიური ინსუპტივები ჩაატაროს. თუმცა საამისოდ მას დასაბუთებული ექვი უნდა ჰქონდეს. ამოქმედდება ახალი საჯარიმო სანქციებიც. რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა 300 ლარით ჯარიმდება, სააგენტოს წარმომადგენლის რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობა კი – 400 ლარით.

სხივანი "ერთოს" წინააღმდეგ

ცხივალის საინფორმაციო სააგენტო „რესის“ ცნობით, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკა „ერთოს“ მუშაობით უკმაყოფილოა და მის მიერ შეთავაზებულ თანამშრომლობაზე უარს ამბობს. ცხივალი „ერთოს“ საქართველოს სამხედრო აგრესიის ხელშეწყობაშიც ადანაშაულებს, რადგან „ეს ორგანიზაცია ნიღაზდა თბილისის მზადებას ომისთვის“. „ვიდრე ისინი (ერთოს) ობიექტურად არ შეაფასებენ აგვისტოს ომს და თავიანთ მოქმედებებს, უფრო სწორად, უმოქმედობას, ჩვენ მათთან არაფერი გვაქვს სალაპარაკო“, – აცხადებს დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ბორის ჩოჩიევი.

ჯახახასიშვილის ოჯახისა და ხელისუფლების ბაიბაბა



გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ხელისუფლებას „მთანმინდის პარკისა“ და სამაუწყებლო კომპანია „იმედის“ დაკარგვასთან დაკავშირებული ზარალის

ანაზღაურებას აღარ სთხოვს. ოჯახი აღარ ედავება საქმეში ჩართულ მესამე პირებსაც.

პატარკაციშვილებსა და ხელისუფლებას შორის დადებული შეთანხმების

თანახმად, ამ საკითხებთან დაკავშირებით შეწყდა ყველა სასამართლო პროცესი. შეთანხმებას ხელი იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანმა და პატარკაციშვილის ქვრივმა ინა გუდავაძემ მოაწერეს.

ოჯახმა „იმედი“ და „მთანმინდის პარკი“ დათმო, თუმცა სანაცვლოდ რა მიიღო, ჯერჯერობით უცნობია. 7 ივლისს რუსთავის „მეტალურგიაში“ მისულ თანამშრომლებს უთხრეს, რომ ქარხანა, რომელიც 2009 წლის ნოემბერში პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვეს, მათ დაუბრუნდათ.

ჩხუბითა და შამოსანი ჰიჩაბი ჰიხას დახში მიიღებენ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 4 ივლისს რუსეთიდან სახმელეთო საზღვრით შემომსვლელთათვის ვიზების გაცემაზე დაწესებული შეზღუდვები მოხსნა. 2010 წლის ოქტომბრიდან ყაზბეგი – ზემო ლარსის მეშვეობით უვიზო რეჟიმი საქართველოში შემოსულ მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიურ რესპუ-

ბლიკებში მცხოვრებთათვის დანესდა. მათთვის 90-დღიანი ვიზები გაიცემა. რუსეთის დანარჩენ მოქალაქეებს სახმელეთო საზღვრის გადასაკვეთად ვიზის აღება მხოლოდ მოსკოვში შვეიცარიის საელჩოში შეეძლოთ. ახალი სავიზო რეჟიმით სარგებლობა კი მათ 4 ივლისიდან შეუძლიათ.

ბიხანეთში ეჩხანისებები დაახავეს

უკანონო სატელეფონო მოსმენების გამო ბრიტანულმა პოლიციამ ბულვარული გამოცემა „News of the World“-ის ორი ყოფილი თანამშრომელი დააკავა. დაკავებულია ყოფილი მთავარი რედაქტორი ენდი კოულსონი, რომელიც ცოტა ხნის წინ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან კომუნიკაციების დირექტორადაც მუშაობდა. ასევე დაპატიმრებულია გამოცემის ყოფილი რედაქტორი კლაივ გუდმანი, რომელმაც 2007 წელს სამეფო ოჯახის საქმეზე უკანონო სატელე-

ფონო მოსმენების გამო ოთხთვიანი სასჯელი უკვე მოიხადა.



ამჯერად გუდმენი პოლიციელის მოსყიდვაშია ეჭვმიტანილი. პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ ჩატარდება საჯარო გამოძიება და მას საგანგებოდ დანიშნული მოსამართლე უხელმძღვანელებს.

ჩისხვაბი

112,7

მლნ ლარი 2010 წელს სასამართლო ვარიანტითა და საპროცესო შეთანხმებით შეგროვდა.

79,5

პროცენტი სასამართლო საქმეებისა 2010 წელს საპროცესო გარიგებით დასრულდა.

სიტაბაბი



„ძველი (ჯაშუშური) ქსელების ეფექტურობა უკვე მინიმალურია... რუსული დაზვერვა, GRU-ის (რუსული სამხედრო დაზვერვის) ჩათვლით აქტიურად მუშაობს ახალი ჯაშუშური ქსელების შექმნაზე, რადგანაც მათ ესმით, რომ ძველი ქსელები დაიშალა, მაგრამ ახალი ქსელების შექმნა ძალიან ძნელია“.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი

„მილიონი კაცი იგებს არჩევნებს და არა მილიონი ლარი!“
„კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი ზვიად ძიძიგური „თავისუფალი არჩევანისათვის“ დაფუძნებისას

„როდესაც ამბობენ, ეკლესია სახელმწიფო საქმეში რატომ ერევაო, მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის მხოლოდ სახელმწიფოს საქმე, ეს არის საკითხი, რომელიც შეეხება მთელ ჩვენს ერს, ეკლესიას და, განსაკუთრებით, სახელმწიფოს“.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II



მომხრა

ნუგზარ ნიკოლაური

პარტია „ნაციონალური მოძრაობა“

სხვადასხვა რელიგიური ჯგუფისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების საკითხი 1991 წლიდან დგას, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. სამოქალაქო მშვიდობისთვის, ქვეყნის ერთიანობისთვის აუცილებელია, რომ ქვეყანაში მყოფ ყველა ჯგუფს, ეთნიკურს თუ რელიგიურს, ჰქონდეს არა დისკრიმინირებულის და განსხვავებულის, არამედ უმრავლესობასთან და მართლმადიდებლობასთან თანასწორობის განცდა.

თავად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ქვეყანაში გამორჩეული როლი აქვს და ამის შესახებ საუბარია კონსტიტუციაშიც. ეს როლი განმტკიცებულია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შეთანხმებით, რომელსაც კონკორდატის სახელით ვიცნობთ.

საქართველოში არსებული სხვა რელიგიური ჯგუფები დიდი ხნის მანძილზე ითხოვდნენ მათ დარეგისტრირებას არა კერძო სამართლის იურიდიულ პირებად, არამედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. ეს მათი კანონიერი მოთხოვნა იყო, რადგან საქართველოს მოქალაქეები არიან და გაუგებარია, რატომ უნდა გვეთქვა მათთვის ამაზე უარი. ყველა ამ რელიგიურ ჯგუფს სახელმწიფოს მშენებლობაში აქვს მონაწილეობა მიღებული და საქართველო არ იქნებოდა ევროპული ტიპის სახელმწიფო, თუ არ მივანიჭებდით ამ ჯგუფებს სტატუსს, რომელიც არავის უფლებას აკნინებს.

ამ რელიგიური ჯგუფებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებით რეალურად არაფერი იცვლება. ტაძრების მათ საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის, თუ მათი მშენებლობის ანდა ლოცვის უფლება მათ ისედაც ჰქონდათ. ეს სტატუსი არ გულისხმობს მათი მხრიდან რაიმე მოვალეობას სახელმწიფოს მიმართ, ან პირიქით, საქართველოს მხრიდან მათ მიმართ რაიმე ვალდებულებას. ეს არის, უბრალოდ, ქვეყნის მიერ დემონსტრირება და აღიარება იმისა, რომ იურიდიულად აღიარებს მათ არსებობას, მათი ორგანიზაციული ფორმა შეესაბამება საჯარო ინტერესებს და ისინი სხვა რელიგიურ ჯგუფებთან სამართლებრივად გათანაბრებულები არიან. **■**



ჩა შეისვლება ჩეიბიუხ საჯარო სამართლის სტატუსის მი

■ ეს სტატუსი არ გულისხმობს მათი მხრიდან რაიმე მოვალეობას სახელმწიფოს მიმართ, ან პირიქით, საქართველოს მხრიდან მათ მიმართ რაიმე ვალდებულებას. ეს არის, უბრალოდ, ქვეყნის მიერ დემონსტრირება და აღიარება იმისა, რომ იურიდიულად აღიარებს მათ არსებობას.



ილია II, მიხეილ სააკაშვილი და კარეკინ II, 10 ივნისი 2011



მოწინააღმდეგე

დავით უსუფაშვილი,
დავით ბერძენიშვილი

„რესპუბლიკური პარტია“

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია რელიგიური გაერთიანებების სტატუსის ერთგვარი საკრალიზაცია და მისთვის იმაზე მეტი მნიშვნელობის მინიჭება, ვიდრე ამ სტატუსს აქვს.

სტატუსი არაფერს სძენს ეკლესიის არსს და მის ბუნებასაც ვერაფერს აკლებს. ეკლესიისთვის მინიჭებული სამართლებრივი სტატუსი რეალურად არის იმის გამოხატულება, თუ როგორ ხედავს სახელმწიფო თავის თავს ეკლესიასთან ურთიერთობაში.

ამ გარემოებების გამო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სხვა რელიგიური გაერთიანებების სტატუსი, უპირველესად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით – როგორ ვხედავთ ჩვენ, საზოგადოება, ჩვენს სახელმწიფოში მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების ადგილს.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, რელიგიური გაერთიანებების, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სტატუსი განისაზღვრა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საგანი კი არ არის საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

ბოლოდროინდელი სიახლე ისაა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლით დადგინდა რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრაციის შესაძლებლობა, ხოლო ამავე კოდექსის 1509 პრიმა მუხლით განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის პროცედურა, აგრეთვე, ამ გაერთიანებების უფლებამოსილება.

ამ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მივიღეთ ასეთი სამართლებრივი აბსურდი: ფორმით საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შინაარსობრივად არაკომერციული იურიდიული პირია; ამასთანავე, ამგვარი საჯარო-სამართლებრივი პირობის ფუნქციონის წესებს განსაზღვრავს არა საჯარო ურთიერთობების მოწესრიგებელი ნორმატიული აქტი, არამედ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსი.

ამკარაა, რომ საკითხი საჭიროებდა უფრო საფუძვლიან და სწორ სამართლებრივ მოწესრიგებას. ეს კი შეუძლებელია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში; საჭირო იყო რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონით, რაც სამწუხაროდ, არ მოხდა, რადგან კანონის მომზადება უფრო მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე კი მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი უმოკლეს ვადაში გადაეწყვიტა.

და ბოლოს, არსებულ რადიკალიზებულ და უაღრესად ემოციურ ვითარებაში უმნიშვნელოვანესია საკითხის ყველა ასპექტის (რელიგიური, ფასეულობითი, სამართლებრივი, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და სხვა) განხილვა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღება. ხელისუფლებამ კი კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მას არ ძალუძს ამ ამოცანის გადაწყვეტა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ინტერესების, საქართველოს თითოეული მოქალაქის (მიუხედავად ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა) შესაბამისად. **□**

ი ჯონფასიკიბისთვის იხილიანი პიხის ნიჭებით?

■ ამ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მივიღეთ სამართლებრივი აბსურდი: ფორმით საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შინაარსობრივად არაკომერციული იურიდიული პირია.

ბელარუსი

ევროპის უზენაესი დიქტატორი

პარტნიორებისა და მეგობრების გარეშე დარჩენილი ლუკაშენკო გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება.

ვასო კუჭუხიძე

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბელარუსი დღეს ყველაზე დიდ გასაჭირში იმყოფება. რამდენიმეთვიან პოლიტიკურ კრიზისს ეკონომიკური ვარდნაც დაერთო თან და ისედაც საერთაშორისო იზოლაციაში მოქცეული ქვეყანა, ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდო. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ ხელისუფლებას არ სურს, არსებულ სიტუაციას თვალი გაუსწოროს და რაიმე შეცვალოს. ერთ-ერთმა ბელარუსმა ბლოგერმა ქვეყნის მდგომარეობა ჩერნობილის აფეთქებას შეადარა, როდესაც საერთაშორისო აუიოტაჟის მიუხედავად, საბჭოთა ლიდერები მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო.

ბელარუსში ვითარება კი მართლაც საგანგაშოა. ალექსანდრე ლუკაშენკო მმართველობის 17 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე დგას. უკვე აღარ მუშაობს მის მიერ არჩეული დასავლეთსა და რუსეთს შორის ლავირების სტრატეგია. დეკემბრის ვადამდე საპრეზიდენტო არჩევნებამდე ბრიუსელში კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ევროპისკენ შემობრუნებულ ბელარუსის პრეზიდენტს საქმით უნდა დაემტკიცებინა დასავლური ღირებულებების ერთგულება. თუმცა, ცხადია, ლუკაშენკომ სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება ვერ მოახერხა.

არჩევნების შემდეგ განვითარებულმა რეპრესიებმა და პოლიტიკურმა დევნამ დასავლეთი უკიდურესად აღაშფოთა. რამდენიმე თვის განმავლობაში ბელარუსი ევროპელი ლიდერების კრიტიკისა და ზეწოლის ობიექტი იყო, თუმცა ლუკაშენკო უკან არ იხევდა და ოპოზიციის დარბევით იმყარებდა პო-

ზიციებს ქვეყნის შიგნით. დათმობებზე არც ბრიუსელი წავიდა და 2011 წლის 20 ივნისს ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ბელარუსის პოლიტიკურ ელიტას სავიზო სანქციები, ხოლო ქვეყნის რამდენიმე მნიშვნელოვან დარგს ეკონომიკური ემბარგო დაუწესა.

ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი იმდენად შეილახა, რომ ერთ-ერთ უკანასკნელ გამოსვლაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ადამიანის უფლებების დარღვევის მხრივ ბელარუსი სირიისა და ლიბიის გვერდით დააყენა.

მინსკი მისმა ტრადიციულმა მოკავშირე მოსკოვმაც მიატოვა. საქმე იმაშია, რომ რუსეთი ლუკაშენკოს დასავლეთის წინაშე „კეკლუცობას“ ვერ პატიობს და არასანდო პარტნიორად მიიჩნევს, ამიტომაც კრემლი ბელარუსის სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდებაზე ცდილობს ამ ქვეყანაში თავისი გავლენა გაზარდოს და ლუკაშენკო მარიონეტად აქციოს. რუსეთს ამ განზრახვის შესრულებაში ბელარუსში არსებული ვითარებაც უწყობს ხელს. მოსკოვისთვის ძალზე ხელსაყრელი დროა ლუკაშენკოს დახმარების სანაცვლოდ ხელში ჩაიგდოს „ბელტრანსგაზი“ – სახელმწიფო კომპანია, რომელიც ქვეყნის გაზსადენებზე მონოპოლიას ფლობს.

ლუკაშენკოს მომხრეების მთავარ არგუმენტად დღემდე ის რჩება, რომ „ბატკო“ ავად თუ კარგად ახერხებს ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. თვითკმარობის მაღალი ინდექსი, ხოლო უმუშევრობისა და ემიგრაციის დაბალი დონე, ქვეყნის წარმატების საზომად იქცა.

თუმცა, ბოლო დროს გამოჩნდა თურა მყიდვეა ის სტაბილურობა და ეკო-

ნომიკური კეთილდღეობა, რომელსაც ლუკაშენკო უზრუნველყოფდა. გასული რამდენიმე თვის მანძილზე, ეკონომიკური კრიზისის გამო სამუშაო ადგილი 600 ათასზე მეტმა ადამიანმა დაკარგა, რაც ათმილიონიანი ქვეყნისთვის კატასტროფული მაჩვენებელია. 36%-ით გაუფასურდა ბელარუსული რუბლი. სურსათსა და საყოფაცხოვრებო საქონელზე ფასების გაორმაგებამ კი სოციალური პირობები აუტანელი გახადა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ქვეყანას სასწრაფოდ 10 მილიარდიანი დახმარება სჭირდება, თუმცა საეჭვოა, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდმა რაიმე დახმარება აღმოუჩინოს ბელა-

ლუკაშენკო თავის გადარჩენას კვლავ რეპრესიებისა და პროპაგანდის გამოყენებით ცდილობს. მან ხალხს აუწყა, რომ საგანგაშო არაფერია და ქვეყანა მალე დადგება ფეხზე. პარალელურად გავრცელდა სიუჟეტი, თითქოსდა ბელარუსის ტერიტორიაზე ნავთობის დიდი მარაგი აღმოჩნდა და თუკი ქვეყანა ამ გასაჭირს მოთმინებით გადაიტანს, წინ უზრუნველი მომავალი ელის.

რუსს, რადგანაც მინსკი მუდამ იგნორირებას უკეთებდა ამ ორგანიზაციის მოთხოვნებს ეკონომიკის ლიბერალიზაციის შესახებ. „დახმარება“ კი ლუკაშენკოს ისევ მოსკოვმა აღმოუჩინა. საბაჟო კავშირის ფარგლებში არსებულმა რეგიონული დახმარების ფონდმა, რუსეთის რეკომენდაციით, ბელარუსს 3 მილიარდიანი გრანტი კი გამოუყო, მაგრამ მინსკისთვის საკმაოდ არასახარბიელო პირობებით.

პარალელურად, რუსეთი სხვა მეთოდებითაც ცდილობს, ძირი გამოუთხაროს მინსკში არსებულ უკვე მისთვის არასასურველ რეჟიმს. ქვეყანაში აგორებული გამოსვლების ტალღას კრემლის გავლენის ქვეშ არსებულმა ტელეკომპანია NTV-მ საეჭვოდ დაამთხვია დოკუმენტური ფილმები ლუკაშენკოს მმართველობის შესახებ, სადაც ხაზი აქვს გასმული იმ პოლიციურ მეთოდებს, რომლის საშუალებითაც ლუკაშენკო ქვეყანას მართავს და იმ აბსურდულ ეკონომიკურ მოდელს, რამაც ბელარუსი კრიზისამდე მიიყვანა. გარდა ამისა, რუსულმა ენერგოკომპანია InterRAO-მ ბელარუსს დავალიანების შედეგად

ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყვიტა. მართალია, რუსეთიდან მიწოდებული ელექტროენერჯის წილი ბელარუსის მოთხოვნილების მხოლოდ 12 %-ს აკმაყოფილებს, მაგრამ კრიზისში მყოფ ქვეყანას დამატებით გასაჭირად მოეკვლინა.

ამ ფონზე ლუკაშენკო თავის გადარჩენას კვლავ რეპრესიებისა და პროპაგანდის გამოყენებით ცდილობს. სატელევიზიო განცხადებაში მან ხალხს აუწყა, რომ საგანგაშო არაფერია და ქვეყანა მალე დადგება ფეხზე. პარალელურად კი, მის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების საშუალებით გავრცელდა სიუჟეტი, თითქოსდა ბელარუსის ტერიტორიაზე ნავთობის დიდი მარაგი აღმოჩნდა და თუკი ქვეყანა ამ გასაჭირს მოთმინებით გადაიტანს, წინ უზრუნველი მომავალი ელის.

მინსკის ოქტომბრის მოედანზე კი, უკვე სამ კვირაზე მეტია, უწყვეტად მიმდინარეობს საპროტესტო აქციები. ხშირი დარბევების მიუხედავად, ამ ქვეყანაში საპროტესტო განწყობა ძალას იკრებს. დემონსტრაცია მდუმარე

სახისაა და მონაწილეები პროტესტს არა სიტყვიერად ან ტრანსპარანტებით, არამედ ტაშის დაკვრით გამოხატავენ. არჩეული სტრატეგია რამდენიმე კვირა კარგად მუშაობდა, მაგრამ ბელარუსის სპეცსამსახურებმა მომიტინგეების დაკავება უკვე ტაშის გამოც დაიწყეს.

ეკონომიკური მდგომარეობით უკმაყოფილებამ ლუკაშენკოს მომხრეთა ბანაკშიც ღრმად შეაღწია. ამის თავიდან ასაცილებლად საჯარო სამსახურებში მოკლევადიანი სამუშაო ხელშეკრულებები შემოიღეს და მთავრობის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვის შემთხვევაში, მათი გაგრძელება აღარ ხდება. გარდა ამისა, დემონსტრაციებზე გასვლის გამო უნივერსიტეტებიდან რიცხავენ სტუდენტებს. თუმცა, მოსახლეობის უკმაყოფილება იმდენად დიდია, რომ სახელმწიფო ტერორის მექანიზმს უკვე უჭირს მისი სრულად განეიტრალება. ბელარუსი აქტივისტები პრეზიდენტს გადადგომას მანამ ურჩევენ, სანამ ხალხის მოთმინება საბოლოოდ აივსება და იგი ჩაუშესკუს ბედს გაიზიარებს.

ლუკაშენკო კი გადადგომას არ აპირებს და კონტროლირებად მედიასაშუალებებში ამბობს, რომ ეს მიტინგები ბელარუსის მიმართ მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნის დედაქალაქებიდან იმართება. პარალელურად კი, იგი საერთაშორისო ასპარეზზე ახალ პარტნიორებს ეძებს. უკვე მოხერხდა ეკონომიკური შეთანხმების გაფორმება პეკინთან. ამ შეთანხმების მიხედვით, მინსკი მილიარდიანი დახმარებას მიიღებს. ასევე მიდის მოლაპარაკებები ვენესუელასთან ენერგორესურსებით დახმარებასთან დაკავშირებით.

ბოლო დღეებში მსოფლიო პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლიბიის ლიდერის მოამარ კადაფის დამარცხების შემთხვევაში, იგი სწორედ ბელარუსს შეიფარებს თავს, სანაცვლოდ კი ლუკაშენკოს ფინანსურ დახმარებას გაუწევს. ეს ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ბელარუსს მოკლევადიან პერსპექტივაში კი წაადგება, თუმცა ამ ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს კიდევ უფრო დააზარალებს. □



ფოტო: ვაჟკა ფლორსანგი / REUTERS

ალექსანდრე ლუკაშენკო ბელარუსის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნაზე, 3 ივლისი 2011

მოსახლეობა

დედაშინა - 2050

ოქტომბრისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 7 მილიარდს მიაღწევს. თუმცა, მეცნიერების აზრით, 21-ე საუკუნის მთავარი გამოწვევა არა მოსახლეობის ზრდა, არამედ ერების დაბერების ტენდენცია იქნება.

დიანა ჩაჩუა

აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს ვებსაიტზე, ეკრანის ცენტრში გამოსახული ათნიშნა რიცხვი განუწყვეტლივ იცვლება. 8 ივლისს 09:49 წუთის მონაცემებით, ის 6,947,608,510-ს აჩვენებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს მოსახლეობა სულ მალე 7 მილიარდს მიაღწევს. გაეროს თანახმად, ეს ოქტომბრის ბოლოს მოხდება – პროგნოზირებულზე ორი თვით ადრე.

ჯერ კიდევ 40 წლის წინ ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ 2010 წლისთვის, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობა 7 მილიარდს მიუახლოვდებოდა, მსოფლიო ქაოსში გაეხვეოდა, შიმშილისგან განწყდებოდა და თვითგანადგურებას მიეცემოდა. დღეს მეცნიერები კვლავ გაიყვნენ ორ ბანაკად. ერთნი ფიქრობენ, რომ ჭარბმოსახლეობა მითია და ამ თემაზე საუბარი სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს ემსახურება; მეორენი კი ამტკიცებენ, რომ 40 წელიწადში 9 მილიარდამდე გაზრდილ მსოფლიო მოსახლეობას გამოსაკვებად რესურსი აღარ დარჩება, შესაბამისად, მოსახლეობის ზრდა ყველა ქვეყნისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს.

აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს განახლებული კვლევის შედეგების თანახმად, 2050 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა მართლაც გადააჭარბებს 9 მილიარდს. წინასწარი გათვლების მიხედვით კი ამ დროისთვის, მოსახლეობის გამოსაკვებად სახელმწიფოებს იმავე რაოდენობის საკვების წარმოება დასჭირდება, რაც გასულ 8 ათას წელიწადში. ამიტომაც, გაეროს განცხადებით, 2050 წლისთვის მსოფლიოში საკვების წარმოება 100 პროცენტით უნდა გაიზარდოს,



ქვეყნებმა კი მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მწვანე ტექნოლოგიებს, რათა 9 მილიონიანი მსოფლიოს გამოსაკვებად დედამიწაზე რესურსი კვლავაც დარჩეს.

აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს ბოლო კვლევის თანახმად, 2050 წელს მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანა ინდოეთი იქნება. ეს ქვეყანა, მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით, ჩინეთს ჯერ კიდევ 2025 წლისთვის გადაუსწრებს.

აშშ ერთადერთი ქვეყანაა ათეულში, რომლის მოსახლეობაშიც რადიკალურ

■ 2050 წლისთვის მსოფლიოს

მოსახლეობა გადააჭარბებს

9 მილიარდს. წინასწარი

გათვლების მიხედვით კი ამ

დროისთვის, მოსახლეობის

გამოსაკვებად სახელმწიფოებს

იმავე რაოდენობის საკვების

წარმოება დასჭირდება, რაც

გასულ 8 ათას წელიწადში.

ცვლილებებს არ ელიან და 40 წლის შემდეგ კვლავ მესამე ადგილზე იქნება. თუმცა საგრძნობ დემოგრაფიულ ცვლილებებს ელიან ქვეყნის შიგნით, სადაც ბიუროს შეფასებით, უკვე დღეს 2 წლამდე ასაკის ბავშვების ნახევარზე მეტი ეთნიკური უმცირესობები არიან. იაპონია და რუსეთი კი შობადობის დონის ვარდნის გამო დღევანდელი მე-9 და მე-10 ადგილებიდან მე-16 და მე-17 ადგილებზე გადაინაცვლებენ. ევროპაში შობადობის



კლება შენელებდა, თუმცა კონტინენტი კვლავაც განაგრძობს დაბერებას. მოსახლეობის ზრდას ბებერ კონტინენტზე იმიგრანტების წყალობით ელიან. იტალიის სტატისტიკის ინსტიტუტის თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის ზრდაში მთავარი წვლილი იმიგრანტებს მიუძღვით. 2050 წლისთვის პირველად ტოპ ათეულში აფრიკული სახელმწიფოც გაჩნდება – ეთიოპია რიცხოვნობით მეექვსე ქვეყანა გახდება.

თუმცა ექსპერტების და მეცნიერების აზრით, 21-ე საუკუნის მთავარი გამო-

წვევა არა მოსახლეობის ზრდა, არამედ ერების დაბერების ტენდენცია იქნება. ასე ფიქრობს მაგალითად, ფრანგი ჟერერდ ფრანსუა დუმონი –ში გამოქვეყნებულ საკუთარ სტატიაში.

აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს დოკუმენტის თანახმად, 2050 წლისთვის 65 წელს გადაცილებული ადამიანების რაოდენობა 2009 წელთან შედარებით (516 მილიონი) გასამმაგდება და 153 მილიონს მიაღწევს. მაშინ, როცა ამავ პერიოდში, 15 წლამდე ასაკის კატეგორიაში, მხოლოდ 6-პროცენტთან ზრდას ვარაუდობენ – 1,83 მილიარდიდან 1,93 მილიარდამდე. მიუხედავად იმისა, რომ გლობალურად საუკუნის გასაყარზე ბავშვები უფროს თაობაზე მეტნი იქნებიან, ამერიკაში, მაგალითად, 2050 წლისთვის უფროსი თაობის წარმომადგენლები 15 წლამდე მოსახლეობას უკან მოიტოვებენ.

„მსოფლიოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ასეთი ცვლილება გამოწვევა გახდება ოჯახებისთვის, ბიზნესებისთვის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს წარმომადგენლებისთვის და პოლიტიკოსებისთვის, რომელთაც დაბერებადი ადამიანების მოთხოვნების უზრუნველყოფა მოუწევთ“, – ამბობს აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს დემოგრაფი ვან ჰი.

საუკუნის გასაყარზე ევროპას კვლავაც მსოფლიოს ყველაზე ბებერი კონტინენტი ერქმევა. 40 წელიწადში 65 წლის ასაკის ევროპელები კონტინენტის მოსახლეობის 29 პროცენტს გაუთანაბრდება. ამ ფონზე, აფრიკა, მაღალი შობადობის წყალობით, მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა რეგიონად დანინაურდება. 65 წლის ასაკის ადამიანები იქ მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენენ.

2025 წლიდან ცვლილებას ელიან აზია-შიც. ვარაუდობენ, რომ ჩინეთი თანდათანობით დათმობს პოზიციას და ინდოეთი, 1,396 მილიარდი მოქალაქით, მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი გახდება. 1980 წლის შემდეგ, ჩინეთის ერთშვილიანობის პოლიტიკის წყალობით, ჩინელი ქალი ცხოვრებაში საშუალოდ 1,5 შვილს აჩენს, ინდოეთში ეს მაჩვენებელი ოდნავ მაღალია – 2,7, მიუხედავად იმისა,

რომ აქაც განათლების და ურბანიზაციის გამო შობადობის დონე დაეცა.

ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ ეს დემოგრაფიული ცვლილებები აზიური ქვეყნების ეკონომიკებზეც მოახდენს გავლენას. ჩინეთს ინდოეთზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი თუნდაც იმიტომ ჰქონდა, რომ წარმოებაში ახალგაზრდები მასობრივად იყვნენ ჩართულნი. მომავალ ათწლეულებში კი, დემოგრაფების ვარაუდით, ჩინეთს სამუშაო ძალის შემცირებასთან და მრავალრიცხოვან პენსიონერებთან მოუწევს გამკლავება.

1992 წელს დაწყებული მოსახლეობის რაოდენობის ვარდნა გაგრძელდება რუსეთში, სადაც მომავალი 39 წლის განმავლობაში მოსახლეობა 139 მილიონიდან 109 მილიონამდე შემცირდება. 21-პროცენტის ვარდნა ექსპერტების შეფასებით, რუსეთს მეორე მსოფლიო ომის დროსაც არ ჰქონია. ასეთ პროგნოზს რუსეთში სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი დონით ხსნიან. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის თანახმად, რუსი მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 62 წელია, რაც ალკოჰოლიზმის მაღალი მაჩვენებლითა და კვების ღარიბი რაციონით არის გამოწვეული.

მომავალ ათწლეულებში მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი ეთიოპიას ექნება. 2050 წლისთვის ეს აფრიკული სახელმწიფო, 278 მილიონიანი მოსახლეობით, მსოფლიოში მეექვსე იქნება. 2150 წლისთვის კი ამ ქვეყანას აქვს შანსი, ჩინეთსა და ინდოეთს გადაუსწროს და მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი გახდეს.

მოსახლეობის ზრდის ბუმი ეთიოპიაში, პირველ რიგში, ბავშვთა სიკვდილიანობის დონის შემცირებით და მაღალი შობადობით იქნება განპირობებული. უკვე შიმობენ, რომ მოსახლეობის ასეთმა სწრაფმა ზრდამ შესაძლოა, კიდევ უფრო გაამძაფროს საკვების კრიზისი აფრიკის რეგიონში. თუმცა, ექსპერტების აზრით, ეთიოპიელების რიცხოვნობის ზრდა თანდათან შენელებდა და ნორმის ფარგლებში ჩადგება, რაც ურბანიზაციის და განათლების დონის ზრდით იქნება გამოწვეული. ■



ჯანმრთელი სკანდალი

პიჩაიდი ფოტობიზნესი და ჯანმრთელი სკანდალი

პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი, რომელიც წლების განმავლობაში მის გვერდით იყო, შესაძლოა, მისი ყველაზე დიდი მტრის ჯამში აღმოჩნდეს. ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ საქმეს გრიფით საიდუმლო ადევს.

„ლიბერალი“



ოთხშაბათს, რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე ოთხ ქართველ ფოტოგრაფს ჯაშუშობის ბრალდებით დააკავებდნენ, საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა რუსულ რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ინტერვიუ მისცა, სადაც აღნიშნა, თუ როგორი კმაყოფილია იგი საქართველოს კონტრდაზვერვის ეფექტიანი მუშაობით. „მე პირადად ვაკონტროლებ ტერორისტების და ჯაშუშების საქმეებს. ძალიან ყურადღებით ვადევნებ თვალს ყველაფერს. მინდა გითხრათ, რომ რუსეთის ყველა აგენტი და ჯაშუში როდი დავიჭირეთ, ზოგიერთები დარჩნენ. ჩვენ ვაგრძელებთ დაკვირვებას მათზე, მათ გეგმებზე, მოქმედებებზე. მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი კონტრდაზვერვის მუშაობით“, – განაცხადა მინისტრმა.

ამ ინტერვიოდან რამდენიმე საათში – 7 ივლისს გამთენიისას სამოქალაქო ფორმებში ჩაცმულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა თბილისის სხვადასხვა უბანში, საკუთარ სახლებში თითქმის ერთდროულად ხუთი ფოტოგრაფი დააკავეს.

სამ მათგანს, მათ შორის პრეზიდენტის პირად ფოტოგრაფს ირაკლი გედენიძეს, ოფიციალურად წაეყენა ბრალი 314-ე მუხლით – უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობა.

აღმკვეთი ღონისძიების სახით მათ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდათ.

„დაკავებულ პირებს ბრალი ედებათ ერთ-ერთი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის საფარქვეშ მოქმედი ორგანიზაციისთვის,

საქართველოს ინტერესების საზიანოდ, მათი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდებაში“ – წერია შს სამინისტროს მიერ 7 ივლისს გავრცელებულ განცხადებაში.

ქართველი ფოტოგრაფების საქმეს მათი დაკავებიდან რამდენიმე საათში გრიფი „საიდუმლო“ დაედო. 2 დღის განმავლობაში შსს, რომელიც, როგორც წესი, ჯაშუშური ქსელის გამოვლენისთანავე აწყობს საგანგებო ბრიფინგს და საკუთარ ვერსიას ფარული აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერების საშუალებით ამყარებს, დუმდა. ამ ხნის განმავლობაში ისიც კი არ იყო ცნობილი, თუ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ედებოდათ ბრალი დაკავებულებს.

მეტ-ნაკლებად ვრცელი ინფორმაცია შს სამინისტრომ დაკავებიდან მხოლოდ მესამე დღეს გაავრცელა.

9 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ირაკლი გედენიძისა და მისი მეუღლის – ნათია გედენიძის აღიარებითი ჩვენებები, გედენიძისა და აბდალაძის მიერ გადაღებული და თითქოსდა რუსეთის სპეცსამსახურებისთვის გადაცემული რამდენიმე საიდუმლო დოკუმენტის ფოტო და ფარული სატელეფონო ჩანაწერები გამოქვეყნდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამ დრომდე გავრცელებული ინფორმაციის და ასევე ცოლ-ქმარ გედენიძეების აღიარებითი ჩვენებების მიხედვით, ფოტოგრაფების საქმეში შემდეგი სურათი იკვეთება:

საქმეში ცენტრალური ფიგურა ვეროპის პრეს ფოტოსააგენტოს კორესპონდენტი, 37 წლის ზურაბ ქურციკიძეა. შს ინფორმაციით, სწორედ ქურციკიძეს ჰქონდა უშუალო კონტაქტი რუსეთის სპეცსამსახურებთან. იგი პირადად ეკონტაქტებოდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მთავარ სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებს – ანატოლი სინიციანს და ოკროკოვს, რომლებიც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჯაშუშობის ბრალდებით არიან ძებნილნი. საიდუმლო ინფორმაციას, რომელსაც ქურციკიძე რუს ჯაშუშებს გადასცემდა,

თავისი მეგობრების და საჯარო მოხელეების – ირაკლი გედენიძისა და გიორგი აბდალაძის მეშვეობით მოიპოვებდა.

რუსი ოფიცრის ანატოლი სინიციანის სახელი 2006 წლის შემოდგომაზე ბათუმსა და თბილისში შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ამოტივტივდა. მაშინ კონტრდაზვერვამ საქართველოში მოქმედი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) 4 ოფიცერი და მათი მოკავშირე 11 საქართველოს მოქალაქე დააკავა. სწორედ ამ ჯგუფის ხელმძღვანელად დასახელდა ГРУ-ს ოფიცერი ანატოლი სინიციანი, რომელიც ვანო მერაბიშვილის განცხადებით, 2005 წლის 1 თებერვალს გორში მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორი იყო.

მერაბიშვილმა მაშინ განაცხადა, რომ დაკავებული ჯგუფის მთავარ ინტერესს წარმოადგენდა „საქართველოს თავდაცვისუნარიანობა; საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის პროგრამები და სამომავლო გეგმები; ენერგოუსაფრთხოება; ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები; თავდაცვის სამინისტროს ცალკეული დანაყოფები, პირადი შემადგენლობა, შეიარაღება, სამხედრო შესყიდვები; საზღვაო პორტები, სარკინიგზო კომუნიკაციები, მათი ტვირთბრუნვა; კონფლიქტის ზონაში განთავსებული საჯარისო ფორმირებები“.

გედენიძეების აღიარებით ჩვენებებთან ერთად შს სამინისტრომ გაავრცელა რამდენიმე დოკუმენტის ფოტო და განაცხადა რომ ინფორმაციას ბრალდებულები რუსულ სპეცსამსახურებს უგზავნიდნენ. სამართალდამცავების მტკიცებით, ამ დოკუმენტებს შორისაა გაეროს სტრუქტურებში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების სია, „ერთ-ერთი პრეზიდენტის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ერთობლივი მოქმედების გეგმა“. ასევე

■ ქურციკიძის ადვოკატმა „ლიბერალს“ უთხრა: „გავეცანი საქმის მასალებს. საქმე ნამდვილად შეიცავს ინფორმაციას, რის გამოც ის გრიფით საიდუმლოა“.

გედენიძის და აბდალაძის კომპიუტერებში არსებულ სხვა მასალებს შორის აღმოჩნდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის სასახლის სქემატური ნახაზის ფოტოები, პრეზიდენტის გადაადგილების დეტალები და პრეზიდენტის მარშრუტი, ასევე დეტალები პრეზიდენტის შეხვედრებისა და ვიზიტების თაობაზე.

დაკავებული სამი ფოტოგრაფიდან რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაციასთან



წედომის შესაძლებლობა, თეორიულად, ყველაზე მეტად სწორედ ირაკლი გედენიძეს ჰქონდა. გამოძიების ვერსიითა და გედენიძის აღიარებითი ჩვენებით, სწორედ გედენიძემ გადაიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის ფოტო და ზურაბ ქურციკიძეს გადასცა, რომელმაც თავის მხრივ ეს ინფორმაცია რუსეთის სპეცსამსახურებს მიანოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ



ჟურნალისტების საპროტესტო აქცია, თბილისი, 8 ივლისი, 2011

ფოტო: ანდრეი მინკაჩენკო / REUTERS

გავრცელებულ აღიარებით ჩვენებებში ცოლ-ქმარი გედენიძეები პირდაპირ ადასტურებენ, რომ ქურციკი სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა.

გედენიძე ასევე აღიარებს, რომ ქურციკი ინფორმაციას გადასცემდა, თუმცა, მისი თქმით, ეს უკანასკნელი მას აზანტაჟებდა.

აღიარებით ჩვენებაში ირაკლი გედენიძე ზურაბ ქურციკისთან თანამშრომლობის

დეტალებს იხსენებს. გედენიძის თქმით, ის ქურციკიძეს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ თავიდან მხოლოდ პრეზიდენტის ღონისძიებებისა და პრეზიდენტის სტუმრების ფოტოებს უგზავნიდა.

„გარკვეული პერიოდის შემდეგ ზურამ ამ ფოტოებზე მინანქრების გაკეთება მოითხოვა. შემდეგ შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ სხვა ინფორმაციების მიწოდებაც მოთხოვა, რომელიც უკვე აღარ

ეხებოდა ჩემს პროფესიულ მოვალეობას, ფოტოგრაფობას. უკვე მივხვდი, რომ ის იყო სპეცსამსახურებთან კავშირში და კიდევ უფრო გამიმძაფრდა ეს გრძნობა, რადგან ვიცოდი ამ ფოტოებს აგზავნიდა მოსკოვში ფოტოსააგენტოში. მე ამ ინფორმაციის მიწოდებაზე უარი ვუთხარი. მან აქამდე ფოტოებისთვის გადახდილ თანხებზე მონერლი ხელი შემასხენა და მითხრა, რომ ამ ინფორმაციას გამოიყენე-

ბდა ჩემს სანიანალმდეგოდ, ანუ შანტაჟის ერთ გამესაუბრა. შევშინდი და ურთიერთობა გავაგრძელე“, – ჰყვება ირაკლი გედენიძე.

ფარულად ჩანერილ სატელეფონო საუბრებში მხოლოდ ის ისმის თუ როგორ სთხოვს ზურაბ ქურციკიძე გიორგი აბდალაძესა და ირაკლი გედენიძეს ჩვეულებრივ საბანკო რეკვიზიტებს, რათა გადაგზავნილ ფოტოებში მიღებული ანაზღაურება მათ პირდაპირ საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხოთ. ეს ჩვეულებრივი საუბარი იმ ფორმით, რაც საზოგადოებამ ნახა რაიმე დანაშაულზე არ მიუთითებს.

რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე გამოძიებასთან თანამშრომლობას დაიწყებდნენ და აღიარებით ჩვენებებს მისცემდნენ, ცოლ-ქმარმა გედენიძეებმა უარი თქვეს დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ადვოკატებზე, რომლებიც დაკავების დღიდან მათ უფლებებს იცავდნენ.

საიას განცხადებით: „ირაკლი გედენიძესთან ბოლო შეხვედრისას ადვოკატს არ დარჩენია არანაირი განცდა, რომ მოსალოდნელი იყო მისი აცილება მოეთხოვა დაცვის ქვეშ მყოფ პირს. პირიქით, შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი ინტენსიურად მონახულებდა დაკავებულს და შეხვედებოდნენ ბრალის წაყენების პროცესში.“

ნათია გედენიძე გამოძიებამ აღიარებითი ჩვენების შემდეგ გაათავისუფლა. საია-ს ოფიციალურ განცხადებაში გამოთქმულია ეჭვი, რომ ეს არ იყო გედენიძეების მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილება.

გრიფმა „საიდუმლო“, რომელიც ფოტოგრაფების საქმეს დაედო, სამართალდამცავები მეტი ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან გაათავისუფლა, ინფორმაციულ ვაკუუმში დარჩენილ საზოგადოებას კი ამ საქმის მიმართ კიდევ უფრო გაუმძაფრდა ინტერესი.

ჟურნალისტების ნაწილმა და ადამიანის უფლებადამცველებმა გასულ კვირას რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართეს, სადაც პირველ რიგში ფოტოგრაფების საქმისთვის სწორედ „საიდუმლო“ გრიფის მოხსნას ითხოვდნენ. მკაფიო ახსნა-განმარტების გარეშე ფოტორეპორტიო-

რების დაკავება ბევრმა სწორედ „მათი ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლად“ შეაფასა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე, მისი მეუღლე და გაზეთ „პრაიმ-თაიმის“ ფოტოკორესპოდენტი ნათია გედენიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტრაქტორი და „ალია-ჰოლდინგის“ ფოტოგრაფი გიორგი აბდალაძე, ევროპის ფოტოსააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში ზურაბ ქურციკიძე და „ასო-შეიტედ პრესის“ ფოტოკორესპოდენტი საქართველოში შაჰ აივაზოვი საკუთარ სახლებში 7 ივლისს გამთენიისას 3-დან 6 საათამდე აიყვანეს.

„დაახლოებით 3 საათი იყო დანყებული, როდესაც კარზე დააკაკუნეს. გვეძინა ყველას... კარი გიამ გააღო და რამდენიმე სამოქალაქო ფორმამი ჩაცმული პოლიციელი შემოვიდა. ყველას მოგვთხოვეს ოთახებიდან გამოვსულიყავით და მობი-

ლურები მაგიდაზე დაგვეწყო. შემდეგ ყველანი ერთ ოთახში შეგვიყვანეს და გია მარტო დაიტოვეს. რომ გამოგვიყვანეს, გიას უკვე ხელბორკილები ედო. უთხრეს, რომ ბრალდებას, ადგილზე გააცნობდნენ“, – იხსენებს გიორგი აბდალაძის მეუღლე ნესტან ნეიძე.

აბდალაძისა და სხვა ბრალდებულების სახლების ჩხრეკისას, სამართალდამცავები მხოლოდ იმ ნივთებს ეძებდნენ, სადაც ინფორმაციის შენახვაა შესაძლებელი – მობილური ტელეფონები, კომპიუტერები, მესსიერების ბარათები, კომპაქტური დისკები, ფოტო აპარატურა. ზურაბ ქურციკიძის ადვოკატის ნინო ანდრიაშვილის განცხადებით, ქურციკიძის სახლიდან ასევე 9 ათასი ევრო წაიღეს.

7 ივლისის ღამეს დაკავებული ფოტოგრაფებიდან სამს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ნათია გედენიძემ მოდულის შენობა მას შემდეგ დატოვა, რაც მან და მისმა მეუღლემ სამართალ-



დამცავებს აღიარებითი ჩვენება მისცეს. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკული საინფორმაციო სააგენტოს „ასოშიეტედ პრესის“ კორესპონდენტი შაჰ აივაზოვი კი დაკავებიდან რამდენიმე საათში გაათავისუფლეს.

საკმაოდ მწირ ინფორმაციას ავრცელებდნენ დაკავებულების ადვოკატები, რადგან თითოეულმა მათგანმა სპეციალური ხელნერილი დანერა, რომ „გრიფით საიდუმლო“ საქმის დეტალებზე საჯაროდ არ ისაუბრებს.

აბდალადისა და ქურციკიდის ადვოკატების თქმით, მათი კლიენტები დანაშაულს არ აღიარებენ.

გიორგი აბდალადის ადვოკატის რამაზ ჩინჩალაძის ნაამბობიდან ცნობილია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა მშრალი შიმშილობა დაიწყო: „გიორგი გაურკვეველობაშია. ის აცხადებს, რომ წარმოდგენა არ აქვს რაში ადანაშაულებენ. ამბობს, რომ არანაირ საიდუმლო დოკუმენტზე მას

■ **მაისის ღამეს პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე პარლამენტის შენობის წინ მიტინგის დარბევას იღებდა. გედენიძის მიერ იმ დღეს გადაღებული ფოტოები, სადაც სასტიკად ნაცემი მომიტინგეებია აღბეჭდილი, სააგენტო „როიტერში“ მოხვდა.**

ხელი არ მიუწვდებოდა და მისი დაკავება, როგორც ფოტოკორესპონდენტის წინააღმდეგ მიმართული კამპანიაა“.

სამართალდამცავების მიერ დაკავებული სამივე ფოტოგრაფი ძალიან ცნობილია ჟურნალისტურ წრეებში. მრავალი წელია ისინი საქართველოში ყველა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო მოვლენას აშუქებენ – დანყებული ზაფხულის სიცხეში შადრევნებთან ბავშვების ჭყუმპალაობით, დამთავრებული საპრეზიდენტო ღონისძიებებით, ოპოზიციური მიტინგებითა თუ ომით.

გია აბდალადის მიერ გორის დაბომბვის დროს გადაღებული ფოტო, სადაც ცეცხლმოკიდებული კორპუსის ფონზე ნაქცეული ქალი შველას ითხოვს, აგვისტოს ომის სიმბოლოდ იქცა და მრავალი საერთაშორისო ფესტივალი მოიარა. აბდალადე წლების მანძილზე გაზეთ „ალიაში“ მუშაობდა, თანამშრომლობდა საერთაშორისო სააგენტოებთან და ასევე ბოლო დროს მოკლევადიანი კონტრაქტებით – საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. 7 ივლისის დილასაც აბდალადეს საგარეო უწყებისთვის უნდა ემუშავა – ნატოს კონფერენციაზე ფოტოები უნდა გადაეღო.

ბოლო წლების განმავლობაში ალბათ არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელსაც ზურა ქურციკიდის ფოტოკამერა არ იღებდა. იგი 2003 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციის – „ევროპის პრეს ფოტოსააგენტოსთვის“ (EPA) მუშაობს. ამ სააგენტოს სათავე ოფისი გერმანიაში აქვს, თუმცა ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში EPA -ს მთავარი ბიურო მოსკოვშია. შესაბამისად, ქურციკიძე, რომელიც ამ საქმეში მთავარი ფიგურანტია, სწორედ მოსკოვის ბიუროში აგზავნიდა თავის ფოტოებს. EPA -ს მთავარმა რედაქტორმა სენგიზ სერენიმ განაცხადა, რომ ქურციკიძე წლების მანძილზე ჟურნალისტური ეთიკის მკაცრი დაცვით მუშაობდა და „ამ მუშაობის პერიოდში EPA-ს არასდროს უთხოვია მისთვის, გაეშუქებინა მოვლენა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჟურნალისტურ ეთიკას ან საქართველოს კანონმდებლობას“. დაუზუსტებელი ინფორმაციით, EPA-ს წარმომადგენლები მომავალ კვირას თბილისში ჩამოსვლას გეგმავენ, რათა ად-



ფოტოგრაფების საპროტესტო მდუმარე აქცია მოდულის შენობის წინ, თბილისი, 8 ივლისი, 2011

ფოტო: თეიმურაზ ბაჩიაშვილი

გილზე გაარკვიონ რატომ ედება ბრალი ჯაშუშობაში მათ კორესპონდენტს.

დაკავებული ფოტოგრაფებიდან მხოლოდ ირაკლი გედენიძეა, რომელიც ამჟამად ოფიციალურად ჟურნალისტურ საქმიანობას აღარ ეწევა. უკვე ხუთი წელია იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურში პრეზიდენტის პირად ფოტოგრაფად მუშაობს. გედენიძე ესწრებოდა თითქმის ყველა ღონისძიებას, რომელსაც ესწრებოდა თავად პრეზიდენტი. დაჰყვებოდა მას საზღვარგარეთულ ვიზიტებში, ფოტოკამერაზე ალბეჭდავდა პრეზიდენტის სამუშაო პროცესსაც და მისი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან მომენტებს. ჟურნალისტები, რომლებიც საპრეზიდენტო ღონისძიებებს აშუქებენ, ჰყვებიან, რომ გედენიძე ახლოს იყო პრეზიდენტთან და მათ საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

გარდა ამისა, როგორც გედენიძის მეგობრები ჰყვებიან, ირაკლი ხშირად საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოებისთვისაც იღებდა ფოტოებს. მაგალითად, „ლიბერალისთვის“ სანდო წყაროსგან ცნობილი გახდა, რომ 26 მაისის ღამეს პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე პარლამენტის შენობის წინ სამართალდამცავთა მიერ მიტინგის დაშლას იღებდა. გედენიძის მიერ იმ დღეს გადაღებული ფოტოები, სადაც სასტიკად ნაცემი მომიტინგეებია ალბეჭდილი, სააგენტო „როიტერში“ მოხვდა.

ინფორმაციის გასაიდუმლოებას საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების“ შესახებ არეგულირებს. კანონი მკაცრად განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს თავდაცვის, ეკონომიკისა და საგარეო ურთიერთობების სფეროში, რომელიც შეიძლება საზოგადოებისთვის დახურული დარჩეს.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტი ნესტან ლონდარიძე განმარტავს, რომ საქმის გასაიდუმლოებისთვის აუცილებელია, ზიანი, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფოს მიადგეს, მნიშვნელოვანი იყოს. „ინფორმაციის დასაიდუმლოების დასაბუთებულობა განისაზღვრება კონკრეტული მასალის საქსპერტო შეფა-

სების საფუძველზე სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეთა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების გათვალისწინებით“ – ნერია კანონში.

კანონი ითვალისწინებს იმასაც, რომ მხარეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს, რომელსაც შეუძლია მოხსნას დოკუმენტს ან საქმეს გრიფი „საიდუმლო“.

დაკავებულთა ადვოკატები მხოლოდ 9 ივლისს გამთენიისას გაეცნენ საქმის მასალებს, რადგან ბრალის წაყენებამდე მათ ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

■ მერაბიშვილმა „ეხო მოსკვის“ განუცხადა, რომ რუსეთის ყველა გამოვლენილი ჯაშუში ჯერ კიდევ არ არის დაკავებული. ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში თბილისში ერთდროულად ხუთი ფოტოგრაფი დააკავეს.

„ლიბერალის“ კითხვაზე გამოძიების მასალების გაცნობის შემდეგ თვლის თუ არა ადვოკატი, რომ საქმეს მართლაც უნდა ედოს საიდუმლოების გრიფი, გიორგი აბდლაძის ადვოკატმა რამაზ ჩინჩალაძემ პასუხისგან თავი შეიკავა. ზურაბ ქურციკიძის ადვოკატმა კი „ლიბერალს“ უთხრა, რომ საქმე ნამდვილად შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას. „გავეცანი საქმის მასალებს და საქმე ნამდვილად შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას, რის გამოც ის გრიფით საიდუმლოა“, – განაცხადა მიხეილ ლოლაძემ.

ნესტან ლონდარიძის თქმით, უცნაურია, რომ ფოტოგრაფების საქმეს მთლიანად ადევს „საიდუმლო“ გრიფი, რადგან უმეტესწილად გრიფით „საიდუმლო“ ედება არა მთელ საქმეებს, არამედ, კონკრეტულ დოკუმენტებს, რომლებიც ამ საქმეებში დევს.

„არ შეიძლება მთელს საქმეს გრიფით

საიდუმლო დაადო. შეიძლება ეს გრიფი დაადო მხოლოდ ინფორმაციის, მასალის მოპოვების ფორმებს და წყაროებს. როდესაც საქმეში კონტრდაზვერვის მიერ გამოყენებული ისეთი რესურსია, რომლის გამოფრვა და გამოვლენა არ შეიძლება, ამ შემთხვევაში ინფორმაციას „საიდუმლო“ გრიფი ედება“.

„ლიბერალის“ წყარო, რომელიც წლების მანძილზე საქართველოს უშიშროების სტრუქტურებში მუშაობდა, ამბობს, რომ ეს საქმე „კონტრდაზვერვის მიერ მომზადებულ ოპერაციას არ ჰგავს“.

„როდესაც კონტრდაზვერვითი გამოძიება იწყება, უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახური თავიდანვე საქმის კურსშია ჩაყენებული. კონტრდაზვერვითი გამოძიებები შეიძლება თვეობით გაგრძელდეს და ბევრ საიდუმლო ინფორმაციას შეიცავდეს, ამიტომ დაკავების მომენტში პროკურატურას აუცილებლად აქვს განმარტება, რომელიც მოპოვებული მტკიცებულებების ლეგალიზებას მოახდენს ისე, რომ თან გარკვეულ ინფორმაციას საიდუმლოდ დატოვებს. ამ შემთხვევაში დაკავების შემდეგ მთლიან საქმეს დაადეს გრიფი „საიდუმლო“, მათ შორის მტკიცებულებებსაც, რაც უკანონოა. ეს ეჭვს იწვევს, რომ ამ ადამიანების დაჭერა სპონტანური გადაწყვეტილება უფრო იყო“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, 2009 წლიდან დღემდე, საქართველოში 13 პირზე დადგა ჯაშუშობის განაჩენი.

ცოცხალი ნინო, სწორედ გრიფით „საიდუმლო“ გასამართლეს ვახტანგ მაისაია, რომელიც ასევე ჯაშუშობაში იყო ბრალდებული. მისი განაჩენიც კი საიდუმლოდ დარჩა. მაისაიას საქმე ახლა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშია გასაჩივრებული და სტრასბურგის სასამართლო ასევე ვალდებულია დაიცვას საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოება.

დაკავებული ფოტოგრაფების სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, 1 სექტემბერს დაიწყება. პროცესი, სადაც სამი ქართველი ფოტოგრაფის ჯაშუშობის საქმეს განიხილავენ, დახურული იქნება. 31-ე მუხლის პირველი ნაწილი 8-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **□**

ცხელი ზაფხული MasterCard®-ისგან

გადაიხადე
MasterCard®-ით
ნაღდი ფულის
ნაცვლად და მიიღე
საჩუქარი!


აგვისტო - 1 ივლისიდან
31 აგვისტომდე!

გახეი ახალი MasterCard®
Gold ან Platinum
ბაზათის მფლობელი,
ჩაეხეთ აქციაში:
გადაიხადე MasterCard®-ით,
გახეი 10 - დან ერთ - ერთი ყველაზე
აქტიური მომხმარებელი,
მიიღე საჩუქარი

iPad 2

აჩის ხალაც, ჩასაც ფელით ვეი შეიძენ,
დანაჩენისთვის ეი ახებობს MasterCard®





SPINER REUTERS

2011 წლის 26 მაისი

კონფიდენციალური, სანდო წყაროსაგან „ლიბერალისტვის“ ცნობილი გახდა, რომ 2011 წლის 26 მაისს გადაღებული ამ ფოტოების ავტორი ირაკლი გედენიძეა.



ფოტო REUTERS



ფოტო REUTERS



ფოტო REUTERS

ფოტობიზნესის საქმე - ბასნიდუმიზაციის ინფორმაცია

ინტერვიუ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტთან,
თამარ კორძაიასთან

თამარ კორძაია – ჩვენ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ მინიმალური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც გვექნება შესაძლებლობა, ხელისუფლებას დაუფუჯეროთ.

საქართველოს კანონმდებლობით როგორაა დარეგულირებული ინფორმაციის გასაიდუმლოება?

სახელმწიფოს ნამდვილად აქვს უფლება, გაასაიდუმლოს გარკვეული ტიპის ინფორმაცია. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევებში, მას არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულება აქვს, ასე მოიქცეს. რა შეიძლება გასაიდუმლოდეს და როგორია ეს პროცედურა, ამას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონი“ განსაზღვრავს.

ნ ივლისის დაკავებული ფოტოგრაფების საქმეში არცერთი საჯარო მოხელე, რომელიც ამ საკითხზე კომენტარს აკეთებს, არ ამბობს, რა ხარისხის საიდუმლოებასთან გვაქვს საქმე. მათ საქმეებს მიანიჭეს გრიფი „საიდუმლო“, მაგრამ არსებობს საიდუმლოების სხვადასხვა დონეები – შეზღუდული სარგებლობის ინფორმაცია, საიდუმლო, სრულიად საიდუმლო და განსაკუთრებით საიდუმლო. შინაარსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე იყოფა ისინი კატეგორიებად. შესაბამისად, მათ დაცვის სხვადასხვა ხარისხი აქვთ.

ჩვენ კი ისიც არ ვიცით, ეს ინფორმაცია რა ხარისხის საიდუმლოებად ცნეს, როდის იქნება ღია ეს ინფორმაცია – სამი თუ ოცი წლის შემდეგ და საერთოდ, ვინ მიიჩნია ის საიდუმლოდ. მხოლოდ ვვარაუდობთ, რომ შესაძლოა, ეს შინაგან საქმეთა მინისტრს ან პროკურატურას გაეკეთებინა. საჯაროდ კი არავის უთქვამს, ვინ გადაწყვიტა, რომ საიდუმლოს გრიფი ოთხი დაკავებული

ფოტოკორესპონდენტის საქმეს აუცილებლად ეხებოდა.

უნდა მიგვითითონ კონკრეტული პუნქტი და მუხლი, რომლის საფუძველზეც გაასაიდუმლოეს ეს საქმეები, ეს



ინფორმაცია ღია უნდა იყოს.

ამიტომ „საია“ მოუწოდებს სახელმწიფოს, ამ საქმეების დახურვის მიზანშეწონილობა დაგვიდასტუროს და გვაჩვენოს აქტი, რომლის მიხედვითაც საქმეები გასაიდუმლოვდა. ცხადია, თუ ინფორმაცია არ უნდა გამჟღავნდეს, მაშინ, ვერც „საია“ მოითხოვს მის გასაჯაროებას, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ მინიმალური ინფორმაცია, რომლის

მიხედვითაც გვექნება შესაძლებლობა, ხელისუფლებას დაუფუჯეროთ.

როგორც ვიცი, დასავლეთის ქვეყნებში გავრცელებულია პრაქტიკა, როცა სასამართლო საქმეები მთლიანად კი არ არის გასაიდუმლოებული, არამედ, კონკრეტული დოკუმენტებია დაშიფრული, რომლებიც ამ საქმეში დევს. როგორია ქართული სასამართლოს პრაქტიკა?

საქართველოში, როგორც წესი, ასე ხდება: როცა ინფორმაცია იხურება, სულ ერთია, სახელმწიფო, თუ კომერციული ნიშნით, მას სრულად ასაიდუმლოებენ ხოლმე. არ ხდება ინფორმაციის დაშუშება, გამოცალკევება, ნაწილის გასაიდუმლოება და ა. შ. ამ თვალსაზრისით, საქართველოში ძალიან მძიმე მდგომარეობაა.

ჯაშუშობის მუხლი, რომელიც სავარაუდოდ, ამ ადამიანებს წაუყენეს, საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა...

314-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა ანდა გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალბებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით

რვიდან თორმეტ წლამდე“. ამ მუხლის პირველი წინადადება პრობლემას არ ქმნის. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამ მუხლის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვინც ფარულად მოიპოვებს საიდუმლო მასალებს და გადასცემს უცხო სახელმწიფოს, ან უცხო სახელმწიფოს ორგანიზაციებს.

თუმცა, პრობლემურად მიმაჩნია ამ მუხლის მეორე წინადადება, რომელიც სრულ თავისუფლებას ანიჭებს სამართალდამცავებს: „აგრეთვე საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის და უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით, სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა“. გასაგებია, რომ საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება ისჯება, მაგრამ როგორ შეიძლება ვინმემ პასუხი აგოს „სხვა ინფორმაციის“ გავრცელებაზე, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებების ნუსხაში არ ხვდება?

ინფორმაცია მთელ მსოფლიოში საზღვრების გარეშე ვრცელდება და თუ ადამიანი არასაიდუმლო ინფორმაციას გაავრცელებს, ამით თუნდაც სახელმწიფოს მიაყენოს ზიანი, მაგალითად, ქვეყანას იმიჯი შეუღახოს, პასუხისმგებლობას ვერაფრით დაეკისრება. ამა წლის 26 მაისის აქციის დარბევის კადრები ჩვენი ქვეყნის იმიჯს და ხელისუფლების რეპუტაციას ნამდვილად შელახავდა. 314-ე მუხლის მეორე ფრაზით კი შეიძლება ამ კადრების გავრცელება დანაშაულად ჩაითვალოს.

ეს ჩანაწერი მართლაც, ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. იმისთვის, რომ მუხლის დისპოზიცია დამტკიცდეს, პროკურატურამ უნდა დაასაბუთოს, რომ ინფორმაციის გადაცემა უცხო სახელმწიფო ან უცხო სახელმწიფო ორგანიზაციის დავალებით ხდებოდა. თუკი მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ არის გასაიდუმლოებული, ეს ისევ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა და არა კონკრეტული პირისა. სწორედ ამიტომაც არასწორი, რომ მსგავს შემთხვევებში იმ პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, ვინც ისედაც ღია ინფორმაცია გაავრცელა.

მიუხედავად იმისა, რომ „საია“ დაკავებული ფოტოგრაფების ინტერესებს

წარმოადგენს, არ არის უფლებამოსილი, მათი საქმის შესახებ ინფორმაცია გაავრცელოს. მაგრამ თუკი ოდესმე დადასტურდა, რომ ეს ადამიანები 314-ე მუხლის ფართო ინტერპრეტაციის საშუალების გამო დააკავეს, ეს ძალიან სამწუხარო იქნება. ალბათ მოგვინევს დაფიქრება ამ მუხლის კონსტიტუციურობის შესახებაც.

„საია“ თუ ჰქონია სასამართლო დავები ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით?

გვეკონდა საქმე უშიშროების საბჭოს წინააღმდეგ, როცა უშიშროების საბჭო გვიმტკიცებდა, რომ ხელშეკრულება ლობიერების შესახებ საიდუმლო იყო. როცა ჩვენ მოვითხოვეთ გასაიდუმლოების დოკუმენტები, საბჭომ ისინი ვერ

■ ამა წლის 26 მაისის აქციის დარბევის კადრები ჩვენი ქვეყნის იმიჯს და ხელისუფლების რეპუტაციას ნამდვილად შელახავდა. 314-ე მუხლის მეორე ფრაზით კი შეიძლება ამ კადრების გავრცელება დანაშაულად ჩაითვალოს.

წარმოადგინა. არადა, ის დოკუმენტები, რომლებსაც უშიშროების საბჭოს ვთხოვდით, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე იყო გამოქვეყნებული.

გვეკონდა მეორე შემთხვევა თავდაცვის სამინისტროსთან, როცა გასაიდუმლოების სამართლიანობის შესახებ ვდავობდით და ვამბობდით, რომ ინფორმაციის გასაიდუმლოებისას საჭიროა მისი დასაბუთება. სამწუხაროდ, მაშინ სასამართლომ განაცხადა, რომ დახურულ სხდომაზე გაეცნო მასალებს და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ცნო მისი საიდუმლოება. მოყვანილი მაგალითების მსგავსად, ტოტალურად,

ბევრი რამ შეიძლება გასაიდუმლოვდეს. ამიტომ, აუცილებლად უნდა ითქვას, კანონის რომელი მუხლის საფუძველზე გასაიდუმლოებული ინფორმაცია და მისი გამჟღავნებით რა კონკრეტული ზიანი შეიძლება, მიადგეს ქვეყანას.

„ის ხალხი, რომელიც დააკავეს, სრულებით არ იყვნენ ცნობილი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებებით და აღმამფთოებელია ის ფაქტი, რომ მათი დაკავება გაიგივებული იყოს მედიის თავისუფლებასთან“, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ. ერთი მხრივ, ამბობენ, რომ დაკავებული ფოტოგრაფები ჯაშუშები არიან, მეორე მხრივ, გვარწმუნებენ, რომ მათი დაკავება მედიის თავისუფლებასთან არანაირ კავშირში არ არის.

მათი მხრიდან ამგვარი განცხადების გაკეთება ლოგიკურია, რადგან ფოტოკორესპონდენტების (ჟურნალისტების) დაკავება გამოხატვის თავისუფლებას უკავშირდება. ირაკლი გედენიძის გარდა, არცერთ ფოტოგრაფს არ უნდა ჰქონოდა წვდომა სახელმწიფო საიდუმლოებასთან. ისიც საეჭვოა, რომ გედენიძეს პრეზიდენტის მოძრაობის მთელი გრაფიკი სცოდნოდა. მას, ალბათ, კონკრეტულ შემთხვევებში იბარებდნენ გადასაღებად. რადგან მათი საქმე გასაიდუმლოებულია, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ.

დაპატიმრებულები ფოტოკორესპონდენტები იყვნენ, ისინი ინფორმაციას ფოტოების საშუალებით ავრცელებდნენ და შესაძლოა, ლოგიკური იყოს, რომ მათი დაპატიმრება გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე მომხდარიყო. შეიძლება, მათ ისეთი მასალები ჰქონოდათ, რომელთა გაცნობაც საზოგადოებისთვის საინტერესო იქნებოდა. გავისსენოთ პრეზიდენტ ნიქსონის მაგალითი, როცა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებამ ქვეყანაში სრულად შეცვალა ვითარება – ეს ჟურნალისტს აუცილებლად უნდა გაეკეთებინა, რადგან ამ ფაქტმა ამერიკის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა. **■**

ესაუბრა ნინო ბექიშვილი

კანონდარღვევები კარლამენტიში

ფიქსირებული ხანძისუბი

ამ მოწვევის პარლამენტში არცერთი დეპუტატი არ დასჯილა იმის გამო, რომ კენჭისყრაზე საკუთარი ხმით მანიპულირების უფლებას სხვას აძლევს.

მაია ნიკლაური

5 ივლისს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით დამტკიცა „რელიგიური გაერთიანებების სტატუსის განმსაზღვრელი კანონპროექტი“, კენჭისყრის წინ რეგისტრაცია 83-მა დეპუტატმა გაიარა, ამ დროს დარბაზში მხოლოდ 63 დეპუტატი იყო. კანონის სასარგებლოდ 70-მა დეპუტატმა არცერთის წინააღმდეგ მისცა ხმა.

მოგვიანებით, ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში უმრავლესობის წევრი ჯაბა მალაქიძე აღნიშნავდა, რომ ამ კანონპროექტისთვის ხმა არ მიუცია, რადგან კენჭისყრისას პარლამენტში არ იმყოფებოდა. თუმცა, კენჭისყრის შედეგების

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მალაქიძე სხდომათა დარბაზში იყო. როგორც ჩანს, მისი ბარათი სხვა დეპუტატმა დარეგისტრირა.

მხოლოდ „ლიბერალმა“, რომელიც იმ დღეს პარლამენტის სხდომას აშუქებდა, ვიდეოკამერით გადაიღო 12 დეპუტატი, რომელიც სხვა დეპუტატების პულტებით აძლევდა ხმას.

5 ივლისის სხდომამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე, საერთაშორისო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ქართველი პარლამენტარები გააკრიტიკა კოლეგების პულტების სისტემატურად გამოყენე-

უფლებისა და ხმის მისაცემი ბარათის სხვისთვის გადაცემა“, – წერია პარლამენტის რეგლამენტის 140-ე მუხლში. ამ კანონის დარღვევისას პასუხისმგებლობა მხოლოდ ბარათის მფლობელს ეკისრება, და არა იმ დეპუტატს, რომელიც სხვის მაგივრად აძლევს ხმას. ამავე რეგლამენტის მიხედვით, დეპუტატს, რომელიც საკუთარი ბარათის გამოყენების საშუალებას სხვას აძლევს, უნდა დაექვეთოს ერთი თვის ხელფასი.

მიუხედავად იმისა, რომ სხვისი პულტით სარგებლობის მრავალი ფაქტი ვიდეოკამერებზეცაა აღბეჭდილი, „ამ მოწვევის პარლამენტში არცერთი დეპუტატი არ დასჯილა ამ კანონდარღვევისთვის.“ – უთხრა „ლიბერალს“ მანდატურთუხუცესმა მურთაზ შალუაშვილმა.

საპარლამენტო ჟურნალისტები, ამბობენ, რომ მსგავსი მანიპულაციები საქართველოს პარლამენტში თითქმის ყველა კანონის მიღების დროს ხდება.

„უკვე მესამე მოწვევის პარლამენტის საქმიანობას ვაშუქებ. ყოველ დღე აქ ვარ. არცერთი შემთხვევა არ მახსოვს, როცა კენჭისყრაზე მინიმუმ 3 დეპუტატი მაინც არ მანიპულირებდეს კოლეგის პულტით. თავიდან ვაშუქებდი, ვცდილობდი არ გამომჩინოდა ასეთი ფაქტები. მერე მივხვდი, რომ სტატისტიკის ფუნქცია მქონდა, შედეგი არ იყო და თავი დავანებე. როდემდე შეიძლება ერთი და იგივე წერო?“, – ამბობს სააგენტო „პირველის“ ჟურნალისტი ნათია ინაური.

ნათია და მისი კოლეგები ყოველ კენჭისყრაზე დარბაზში მყოფ დეპუტატებს სათითაოდ ითვლიან, შემდეგ კი ტაბლოზე გამოცხადებული შედეგების მიხედვით ხედებიან, კანონპროექტს დაუსწრებლად რამდენმა დეპუტატმა მისცა ხმა.

როგორც ჟურნალისტები ამბობენ,



■ 2011 წლის 1 ივლისს, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილება დამტკიცდა, რითაც დადგინდა, რომ 2012 წლიდან პარლამენტი ქუთაისში იქნება, სხდომაზე 86 დეპუტატი იჯდა. საკონსტიტუციო ცვლილებას კი მხარი 103-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ბისთვის. ორგანიზაციამ კანონმდებლებს კეთილსინდისიერების, კონსტიტუციისა და ამომრჩევლის პატივისცემისაკენ მოუწოდა.

სხდომებზე, რომლებიც ხშირად ნახევრად ცარიელ დარბაზში იმართება, ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ერთ კანონპროექტს დეპუტატი ხმას რამდენჯერმე აძლევს – ერთხელ თავისი პულტით, მეორედ, მესამედ, ან მეოთხედ კი მეზობელი დეპუტატების პულტებით.

„პარლამენტის წევრი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემის

პულტებით მანიპულირების შემთხვევები განსაკუთრებით არჩევნების დროს იმატებს, რადგან დეპუტატების დიდი ნაწილი ამ დროს პარტიის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობს და კანონების მისაღებად არ სცალიათ.

„2007 წლის ბოლოს დეპუტატების უმრავლესობა არჩევნების გამო რეგიონებში გადაინაწილდა. არადა პარალელურად პარლამენტი კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს განიხილავდა. ერთ-ერთ კენჭისყრაზე დარბაზში სულ 60 დეპუტატი იჯდა, პირადად დაფოტოვდა. კვორუმისთვის ეს რაოდენობა საკმარისი არ იყო, მით უმეტეს საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად, რასაც 100 ხმა, პარლამენტის წევრთა რაოდენობის 2/3 სჭირდება. უცებ აღმოჩნდა, რომ კვორუმი იყო და ცვლილებებიც დაამტკიცეს. ზოგმა დეპუტატმა 4, ზოგმა მეტი ბარათითაც ისარგებლა. ასე მიიღეს კანონები 2010 წლის წინასაარჩევნო პერიოდშიც“, – იხსენებს ნათია ინაური.

2011 წლის 1 ივლისს, როდესაც საკანონმდებლო ორგანომ საკონსტიტუციო ცვლილება დაამტკიცა, რითაც დაადგინა, რომ 2012 წლიდან პარლამენტი ქუთაისში იქნება, სხდომაზე მხოლოდ 86 დეპუტატი იჯდა. საკონსტიტუციო ცვლილებას კი მხარი 103-მა დეპუტატმა დაუჭირა.

სხდომის წამყვანიც და მანდატურებიც სხვის მაგივრად ხმის მიცემაზე სწორად თვალს ხუჭავენ. ამაზე არც საპარლამენტო ოპოზიცია რეაგირებს. ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი ლევან ვეფხვაძე თავს იმით იმართლებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობას სიტუაციის შესაცვლელად დეპუტატთა რაოდენობა მაინც არ ჰყოფნის.

„ასეთ კანონდარღვევებზე საუბარს აზრი არა აქვს. ჩვენ – ოპოზიცია იმდენად ცოტანი ვართ, რომ კენჭისყრებს დავესწრებით თუ არა, ამასაც არა აქვს მნიშვნელობა. ამიტომ, სწორად არც ვესწრები ხოლმე. ერთ შემთხვევას გავიხსენებ – ნელინდნახევრის წინ პარ-

ლამენტი სტრატეგიული ობიექტების საპრივატიზაციო ნუსხიდან მაგისტრალური გაზსადენის ამოღების საკითხს განიხილავდა. ოპოზიციამ პულტებით მანიპულირება შენიშნა და კენჭისყრის გაუქმება მოითხოვა, თუმცა მის აქტიურობას შედეგი არ მოჰყვა“, – ამბობს ვეფხვაძე.

ორიოდე კვირის წინ ტელეკომპანია „მაესტრომაც“ გაავრცელა კადრები, სადაც კარგად ჩანს, რომ რამდენიმე დეპუტატი კოლეგის პულტით ხმას აძლევს. „მაესტროს“ კადრებში ერთ-ერთი დეპუტატი, რომელმაც სხვისი პულტით ისარგებლა, ხათუნა ოჩიაური იყო.

„ვალარებ, რომ ეს დანაშაული ჩადენილი მაქვს. ეს არ არის კარგი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე ჩემი მეგობარი დარბაზის სხვა ნაწილში კოლეგასთან სასაუბროდ გადაჯდებდა და იქიდან მთხოვს, რომ მის ნაცვლად მივცე ხმა. სამწუხაროა, მაგრამ ეს გაკეთებული მაქვს“, – ლიმილით უთხრა ხათუნა ოჩიაურმა „ლიბერალს“. ■

გაატარე ზაფხული ოჯახთან ერთად შერატონ ბათუმში!




პაკეტის ღირებულება

- \$ 169
შანი 14 ღამისათვის
ოთახი ერთი ღამით
- \$ 189
შანი 10 ღამისათვის
ოთახი ერთი ღამით
- \$ 209
შანი 7 ღამისათვის
ოთახი ერთი ღამით

პაკეტი შეიცავს:

- განთავსება სასტუმროს ორჯერჯერადი ნომერში
- ზუღის ტრის სერვისი
- ზუღის ტრის სავალი
- გამზარბილებელი ცენტრის სარეგლობა და დასვენება
- და ზღვის აუზის სუნა ჯაქეზა ორჯერადი აბაზა ორბაზის ოთახი
- კროკეტაი SPA მსახურ ზღვისპირა ოთახისთვის
- SPA უსაფრთხო სასტუმროს ყველა მომსახურებას
- უფასო საუბარის კაბინა კალონის

პირდაპირ:

- ფრენის მოქმედება ოთხი ოთახზე ერთი ოთახი ორჯერჯერადი ნომერში
- სივარდი აუტომატურად ორ კვირისთვის 10% სუპერპროცენტით
- აუტომატური ორ ზღვისპირა ოთახის სერვისი 4 წლის ასაკზე
- 4 თან 4 წლის სერვის ოთახი ზღვისპირა 20 ადამიანის ოთახისთვის
- განსაკუთრებული სერვისი ოთახი ზღვისპირა 40 ადამიანისთვის
- სპონსორებული ფრენის ორ ზღვისპირა 20% აბაზა
- სპონსორებული აბაზა 7 ოთახის ორ სერვისით
- სპონსორებული ფრენის აბაზისთვის 20% აბაზა - 5 კვირისთვის

გამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე: +995 422 229000, ან დაგვიმევიჩეთ Sheraton Batumi Hotel

ევროსაბჭოს ანგარიში

სეციზუფციების ინტეგრაციის დამსჯელი მახთმსაჯულება

თომას ჰამარბერგი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, ჰუმანური და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკა განახორციელოს.

ნინო ბეჟიშვილი

ევროსაბჭოს საიტზე ადამიანის უფლებათა ევროპის საბჭოს უმაღლესი კომისრის – თომას ჰამარბერგის ანგარიში გამოქვეყნდა, რომელიც საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მართლმსაჯულების განხორციელებასა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს ეხება.

ანგარიშში დაწვრილებითაა მოთხრობილი იმ რეფორმების შესახებ, რასაც საქართველოს ხელისუფლება მართლმსაჯულების სფეროში ახორციელებს. აღნიშნულია, რომ საქართველომ გარკვეულ საკითხებში წარმატებებს მიაღწია. დადებითადაა შეფასებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება, რომლის მიხედვითაც სასამართლო შეჯიბრობითობის პრინციპს უნდა დაეფუძნოს, ის რეფორმები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ტარდება, ის ლონისძიებები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება სასამართლო სისტემაში კორუფციის აღმოსაფხვრელად ატარებს.

თუმცა, ევროპის საბჭოს უმაღლესი კომისრის ანგარიშის დიდი ნაწილი მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ პრობლემებს ეთმობა და მისი ამ საკითხით დაინტერესება მოუთითებს, რომ ეს საკითხები განსაკუთრებით სერიოზულია.

ჰამარბერგი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ წვრილმანი დანაშაულისთვის 2006 წელს გამოცხადებული „წულოვანი ტოლერანტობის“ მკაცრი და ხშირად არასამართლიანი პოლიტიკა დღემდე მოქმედებს. საპატიმრო სასჯელები გრძელვადიანია და ხშირად ჩადენილი დანაშაულის ადეკვატური არ არის. ჰამარბერგს ანგარიშში კონკრეტული მაგალითები აქვს მოტანილი – 2011 წელს სასამართლომ ერთწლიანი



თომას ჰამარბერგი

პატიმრობა შეუფარდა პირს, რომელმაც 15 ვეროს ღირებულების ნივთი მოიპარა.

ანგარიშის მიხედვით, ქართული მართლმსაჯულებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში ცენტრალური ფიგურა დღემდე პროკურორია.

ჰამარბერგი წერს, რომ პოლიცია წინასწარი გამოძიების ეტაპზე უამრავ პროცედურულ დარღვევას უშვებს. ხშირია მონმის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა, უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულებები, უზუსტობები ჩხრეკის და დაკავების ოქმებში და ა. შ. ეს ყოველივე, როგორც წესი, ხელს არ უშლის პროკურორს, გამოძიება გააგრძელოს, ხოლო სასამართლოს – განაჩენი გამოიტანოს. „ამ შემთხვევებმა გაამყარა აზრი იმის შესახებ, რომ პროკურორები შერჩევითად მოქმედებენ და ხელისუფლების ინტერესს იცავენ, ნაცვლად იმისა, რომ იმოქმედონ საზოგადოების სახელით და საზოგადოების ინტერესების დასაცავად“ – აღნიშნავს თომას ჰამარბერგი.

კომისარი განსაკუთრებულად იმ ფაქტზე ამხეილებს ყურადღებას, რომ საქართველოში სისხლის სამართლის სფეროში გამამართლებელი განაჩენების განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელია. ოფიციალური მონაცემებით, 2010 წლისთვის გამამართლებელი განაჩენების საშუალო მაჩვენებელი პირველი ინსტანციის სასამართლოებში 0.2% იყო.

თომას ჰამარბერგი საუბრობს იმის შესახებ, რომ ერთი შეხედვით, ახალი საპროცესო კოდექსი ადვოკატებისთვის ფართო უფლებებს ადგენს, მაგრამ მხარეთა თანასწორუფლებიანობა, როგორც წესი, პროკურატურის სასარგებლოდ ირღვევა: „გამამართლებელი განაჩენების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია სასამართლოებში არსებული ტენდენციით, მხარი დაუჭირონ პროკურატურის მიერ წარმოდგენილ ბრალდებას. ადვოკატებს ხელი ეშლება პროფესიული მოვალეობების თავისუფლად შესრულებაში. რაც სერიოზულად აფერხებს დაცვის უფლების განხორციელებას და ხელს უშლის ადვოკატებს, ეფექტურად ემსახურონ მართლმსაჯულებას“, – აღნიშნულია ანგარიშში.

თომას ჰამარბერგი ეყრდნობა საქარ-

თველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშს და აღნიშნავს, რომ ქართული მართლმსაჯულებისთვის დღემდე პრობლემად რჩება დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ 2010 წლის დეკემბერში საპროცესო შეთანხმების შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშზე დაყრდნობით უმაღლესი კომისარი საუბრობს იმ პრობლემებზე, რაც ამ ინსტრუმენტის გამოყენების დროს იჩენს თავს. პროკურატურას აქაც

■ საქართველოში სისხლის სამართლის სფეროში გამამართლებელი განაჩენების განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელია. 2010 წლისთვის გამამართლებელი განაჩენების საშუალო მაჩვენებელი პირველი ინსტანციის სასამართლოებში 0.2% იყო.

ისევ გადაწყვეტი როლი აკისრია. უმაღლესი კომისარი თვლის, რომ პატიმრობის მაღალი მაჩვენებელი, მკაცრი სასჯელების პოლიტიკა და სასამართლოს მიმართ მოსახლეობის დაბალი ნდობა ზეგავლენას ახდენს ბრალდებულზე და ის უდანაშაულობის შემთხვევაშიც კი იძულებულია, ბრალი აღიაროს და საპროცესო შეთანხმების გაფორმებას დათანხმდეს.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი საუბრობს საქართველოში უკანასკნელ წლებში მომრავლებულ საქმეებზე, სადაც აშკარად იკვეთება ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესები. თომას ჰამარბერგი აღნიშნავს, რომ 2007 წლის ნოემბერში და 2009 წლის გაზაფხულზე ოპოზიციის საპროცესო გამოსვლების დროს პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობის და ძალის გადამეტების შემთხვევებს, 2009 წელს კი ოპოზიციის აქტივისტების მიმართ არსებობდა იარაღისა და ნარკოტიკების ჩაგდების შედეგად „შეკერილი“ საქმეები და 26 ადამიანი საპატიმროებიდან პოლიტიკური შეთანხმების

საფუძველზე გაათავისუფლეს.

თომას ჰამარბერგმა საპატიმროებში მოინახულა მერაბ რატიშვილი, ვლადიმარ ვახანია და შალვა გოგინაშვილი, რომლებიც თავს პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევენ. მათ საქმეებში არსებულ დარღვევებზე არაერთი უფლებადამცველი მიუთითებს. მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია“, რომელმაც 2009 წელს სპეციალური ანგარიში მიუძღვნა პოლიტიკურ პატიმრებს, ადგილობრივი არასამთავრობოები.

ოპოზიციის აქტივისტის ლევან გოგიჩაიშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე კომისრის მიერ შეფასებულია, როგორც „საეჭვო“. საუბარია იმაზეც, რომ „კომისრის მიერ მოპოვებული ინფორმაცია მიუთითებს სერიოზულ ხარვეზებზე, ეჭვის ქვეშ დგება ამ პირთა მიმართ წაყენებული ბრალი და საბოლოო გადაწყვეტილება. კომისარმა ხელისუფლებას ამ საქმეებთან დაკავშირებით მკაფიო და გამჭვირვალე პასუხის მიღება სთხოვა. ზოგადად, საჭიროა მკაცრი ზომების მიღება სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად და იმისთვის, რომ დაცული იყოს ყველა მხარის თანასწორუფლებიანობა“.

ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტს, რომ საქართველოში ადვოკატების დაშინება და მათზე ზეწოლა დღემდე გავრცელებული პრაქტიკაა. ეს განსაკუთრებით ეხებათ ადვოკატებს, ვინც ისეთ საქმეებზე მუშაობს, სადაც ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესები იკვეთება. 24 წლის ადვოკატს მარიამ იველაშვილს 5 წელი და 9 თვე აქვს მისჯილი 2009 წელს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი თაღლითობისთვის. ადვოკატები აცხადებენ, რომ საქმე საესეა პროცედურული დარღვევებით და ის „მიზანმიმართულად არის შერჩეული ხელისუფლების მისამართით მის მიერ გამოთქმული კრიტიკული განცხადებების გამო“.

თომას ჰამარბერგი ამბობს, რომ უშედეგოდ ცდილობს ხელისუფლებისგან 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს დაკარგული ხაჩიროვის, ხუგაევისა და პლიევის საქმეების გამოძიების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. ■

თვალსაზრისი

ჯანმრთელობის დასვის პეისპეიჯები საქართველოში

2011 წლის 1-2 თებერვალს ვაშინგტონში ჩატარდა კონფერენცია „საქართველოს ჯანდაცვის სისტემა 2020: მედეა 2011“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს, სამედიცინო განათლების სფეროსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ამერიკაში მოღვაწე ქართველმა ექიმებმა. სტატიაში განხილულია კონფერენციაზე დასმული საკითხები.

გიორგი მიქელაძე, ქრონიკული ტკივილის ცენტრის ხელმძღვანელი, კაიზერ პერმანენტე, სან ფრანცისკო, აშშ

პარადოქსულად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ მედიცინა არაა აუცილებელი იმისთვის, რომ საზოგადოება განვითარდეს, სახელმწიფომ იარსებოს... დღევანდელი გადასახედიდან თუ შევაფასებთ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მედიცინას, სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაავადებების 95%-ის მკურნალობა შეუძლებელი იყო. იმდროინდელი მკურნალობის შედეგად მხოლოდ ის ავადმყოფები განიკურნებოდნენ, რომლებიც მკურნალობის გარეშეც მორჩებოდნენ ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობისა და ავადმყოფობის ბუნებრივი მსვლელობის შესაბამისად. მკურნალობის ეფექტიანი საშუალებები არ არსებობდა. საგრძნობლად შეიცვალა მდგომარეობა მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში, როდესაც ანტიბიოტიკები იქნა აღმოჩენილი. ცოტა ადრე, განვითარდა აცრების სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება, რომელიც მოხდა მე-20 საუკუნეში, შედეგი იყო სოციალური პრობლემების გადაჭრისა, როგორცაა: სუფთა სასმელი წყალი, უკეთესი ჰიგიენური პირობები, უკეთესი კვება, დიდი ეპიდემიების პროფილაქტიკა, აცრები. აი, ესაა ქვაკუთხედი, რომელზეც დგას ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება. პრაქტიკულმა მედიცინამ სიცოცხლის გახანგრძლივებაში



დიდი როლი ვერ შეასრულა. ისიცაა, რომ საზოგადოების ყველაზე ქმედითუნარიანი ნაწილი – აქ მე ვგულისხმობ მოსახლეობას 18-20-დან 50-55 წლამდე – მკურნალობას დიდად არ საჭიროებს. როგორც წესი, მედიცინა სჭირდება საზოგადოების ყველაზე უფრო დაუცველ ნაწილს. ესენი არიან პატარა ბავშვები და ხანშიშესული ადამიანები. ასე რომ, სახელმწიფოსთვის, რომელსაც დასახარჯად აქვს გადადებული გარკვეული თანხა და რომელიც მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს, გაცილებით უფრო მომგებიანი იქნებოდა, დაეხარჯა ეს თანხა არა ჯანდაცვის პროგრამებზე (მაგალითად, კიბოს მკურნალობაზე, დიალიზზე და ა.შ.), არამედ სასმელი წყლის სისუფთავეზე, აცრებზე, უკეთესი ჰიგიენური პირობების შექმნაზე და ა. შ. საბედნიეროდ, საზოგადოების განვითარება არ არის დამყარებული მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურ მოგებაზე და საბაზრო ეკონომიკაზე. სრულფასოვანი საზოგადოებისთვის ჰუმანურობა, მონყალეობა, მისი ყველა წევრის კარგად ყოფნასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა აუცილებელი პირობაა. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფოს ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს ჯანდაცვის რეგულაციაში. მაგალითად, აშშ-ში, სადაც სამედიცინო დანებსებულებები ძირითადად კერძოა, ჯანდაცვის სფეროს სახელმწიფო საგანგებოდ აკონტროლებს და იცავს მას საბაზრო ეკონომიკის გავლენისაგან.

ისტორიაში იყვნენ სახელმწიფოები, რომელთაც „მარტივად და ეფექტურად“ ჰქონდათ გადაწყვეტილი ჯანდაცვის პრობლემები, მაგალითად, ახალშობილთა დაავადებების საკითხი სპარტაში. მათ, უბრალოდ, კლავდნენ. დღეს სპარტა, განსხვავებით ძველი ათენისაგან, გვახსოვს მხოლოდ როგორც საომარი მანქანა. რაც უფრო ჰუმანურია საზოგადოება, მით უფრო მეტ ფულს ხარჯავს მათზე, ვისაც დახმარება სჭირდება. მინდა შეგახსენოთ ისიც, რომ საქართვე-

ლოს პირობებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა სიღარიბეში ცხოვრობს, სოციალური დაცვა პრაქტიკულად აღარ არსებობს და სახელმწიფოსაც ბიუჯეტი შეზღუდული აქვს, კარგად უნდა მოვიხაროთ, როგორ მოწესრიგდეს ჯანმრთელობის დაცვა ისე, რომ მასზე გამოყოფილი სახსრები ოპტიმალურად და ეფექტიანად განაწილდეს. საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, ერთი მხრივ, ბიუჯეტის რა ნაწილი უნდა იქნას განკუთვნილი ჯანდაცვისათვის და, მეორე მხრივ, როგორ განაწილდეს ეს გამოყოფილი სახსრები ოპტიმალურად.

ამ სახსრების ყაირათიანად და-
■ სახელმწიფოსთვის, რომელსაც დასახარჯად აქვს გადადებული გარკვეული თანხა და რომელიც მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს, გაცილებით უფრო მომგებიანი იქნებოდა, დაეხარჯა ეს თანხა არა ჯანდაცვის პროგრამებზე (მაგალითად, კიბოს მკურნალობაზე, დიალიზზე და ა.შ.), არამედ სასმელი წყლის სისუფთავეზე, აცრებზე, უკეთესი ჰიგიენური პირობების შექმნაზე და ა. შ.

ხარჯვა ვერ მოხდება, თუ არ მოხდა საქართველოში სამედიცინო განათლების, საავადმყოფოებისა და სადაზღვევო ორგანიზაციების ძირეული რეფორმა (სამწუხაროდ, ამ საკითხების სასურველი მოცულობით განხილვა კონფერენციაზე არ მომხდარა).

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, თბილისში რამდენიმე სამედიცინო ინსტიტუტია. რაოდენობა სტუდენტებისა, რომლებიც ამ ინსტიტუტებში სწავლობენ და ინსტიტუტს

ყოველწლიურად ამთავრებენ, დიდად აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც საქართველოს ოდესმე შეიძლება დასჭირდეს ან რომელთა დასაქმება შეიძლება მოხდეს. წარმოუდგენელია ამ რაოდენობის სტუდენტების სრულფასოვანი სწავლება. თუ შევადარებთ აშშ-ს, მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, საქართველოს წელიწადში 150-ზე მეტი ახალბედა ექიმი არ სჭირდება.

რა პრობლემას ვხვდებით განათლებაში და ექიმების მომზადებაში?

პირველ რიგში, სამედიცინო განათლება ორი სხვადასხვა სამინისტროს განგებაშია: სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტების სწავლების პირველი ექვსი წელიწადი განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ხოლო სწავლების მეორე ეტაპი – რეზიდენტურაში სწავლება – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადმინისტრირებით ხდება.

საკუთრივ, სწავლების პირველი 6 წელიწადი: სწავლების ხარისხის მიუხედავად, არა მგონია, რომ დღესდღეობით საქართველოში იყოს იმის პირობები, რომ სტუდენტებმა სრულფასოვანი პრაქტიკული ჩვევები მიიღონ არსებულ საავადმყოფოებში.

მეორე ეტაპი, რეზიდენტურა, სადაც უკვე ხდება სტუდენტების სპეციალიზაცია, ალბათ უარეს მდგომარეობაშია. ზემოაღნიშნული კონფერენციის დროს ვერაფრით მივიღე ინფორმაცია, თუ რამდენ რეზიდენტს იღებენ წელიწადში, რა რაოდენობით არიან ისინი სპეციალობების მიხედვით განაწილებული და როგორ ხდება მათი წრთვნა. ერთი რამ ცხადია – მათ არა აქვთ საშუალება, რომ სრულყოფილი ექიმები გამოვიდნენ. სამწუხაროდ, თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს მედიცინა კატასტროფის წინაშე დადგება, როდესაც დღევანდელი 40-50 წელს გადაცილებული ექიმები პენსიაში გავლენ. ამდენად, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისთვის სამედიცინო განათლების ძირეული რეფორმა აუცილებელია და გადაუდებ-

ბელი. მის გარეშე, არა მგონია, რომ რამე შედეგს მივალნიოთ. ეს რეფორმა არ შეიძლება მხოლოდ სამედიცინო განათლებას შეეხოს, არამედ უნდა მოხდეს ჯანმრთელობის დაცვის სრული რეფორმა. ეს უნდა მოხდეს იმის განჭვრეტით, თუ როგორ გვესახება ჩვენი მედიცინა მომავალში, როგორი საავადმყოფოები და რა ტიპის დაზღვევები უნდა გვქონდეს, როგორ უნდა იყოს სახელმწიფო ჩართული, უნდა იყოს თუ არა სახელმწიფო ვალდებული გაუწიოს სამედიცინო დახმარება ადამიანებს, რა შემთხვევაში, რა რაოდენობით, რა შემოსავლის მქონეთ და ა.შ.

რაც შეეხება დაზღვევის ინსტიტუტის საკითხს, დაზღვევა, ზოგადად, რამდენიმე სახისა არსებობს. დაზღვევის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ, ჯანმრთელი ადამიანების გადასახადები ფარავს ავად გამხდარი ადამიანების ხარჯებს. დაზღვევის ერთ-ერთი სახე, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებულია საქართველოშიც და სხვაგანაც, არის ეგრეთ წოდებული *fee for service* („გადახდა მომსახურებაში“) ტიპის დაზღვევა. ეს დაზღვევა ექიმსა და სამედიცინო დაწესებულებას ფულს უხდის დაზღვეული პირისთვის განუხლები სამედიცინო დახმარებისთვის, პროცედურებისთვის, ანალიზებისთვის და მისთ. ამ ტიპის დაზღვევას საკმაოდ ბევრი ნაკლი აქვს. ერთ-ერთი მთავარი ისაა, რომ ექიმი დაინტერესებულია მეტი პროცედურა დაუნიშნოს პაციენტს, რათა დაზღვევას უფრო დიდი ანგარიში წარუდგინოს. სხვა დიდი ნაკლი ისიცაა, რომ ამ ტიპის დაზღვევებში ძალიან ბევრი ფული იხარჯება ბიუროკრატიული აპარატის შესანახად.

არის სხვა ტიპის დაზღვევაც, როდესაც სადაზღვევო გადასახადების წინასწარ გადახდილი თანხა თავიდანვე ნაწილდება საავადმყოფო(ებ)სა და იქ მომუშავე ექიმებისთვის და შემდგომი მკურნალობა ამ სისტემაში ხდება (ამ ტიპის დაზღვევის ერთ-ერთი მაგალითია აშშ-ში მოქმედი სადაზღვევო სისტემა Kaiser Permanente; მკითხველს

შეუძლია გაეცნოს ამ ორგანიზაციის სტრუქტურას ვებ-გვერდზე: <http://xnet.kp.org/kpinternational/aboutKP.html>). ამ სისტემაში მომუშავე ექიმების ხელფასები არ არის დამოკიდებული ნაწიხი ავადმყოფების რაოდენობასა და ჩატარებულ ოპერაციებზე/პროცედურებზე. ორგანიზაცია ბევრად უფრო დაინტერესებულია ავადმყოფების პროფილაქტიკით, რაც საბოლოოდ უფრო მომგებიანია პაციენტისთვისაც და სადაზღვევო ორგანიზაციისთვისაც. ჩემი რწმენით,

■ მიმაჩნია, გამოცდები პირველ რიგში ჩატარდეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის სფეროში მომუშავე პირთათვის, ჯანმრთელობის სამინისტროს თანამშრომელთათვის, რადგანაც მათი როლი და პასუხისმგებლობა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმასა და განვითარებაში ამჟამად გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე პრაქტიკოსი ექიმებისა.

დაზღვევის ასეთი სისტემა, ჯანმრთელობის ასეთი დაცვა გაცილებით უფრო მისაღები იქნებოდა საქართველოს პირობებში და, მიმაჩნია, რომ დღესდღეობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს იმის პოტენციალი, რომ ასეთი ტიპის დაზღვევა შექმნას.

ჩემი თვალსაზრისით, უნდა შეიქმნას ერთიანი სისტემა, რომელიც შედგება სამი დამოუკიდებელი თანასწორუფლებიანი ერთეულისაგან: საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო კლინიკ(ებ)ისა და სადაზღვევო კომპანიისაგან. ეს ორგანიზაცია გაყიდის დაზღვევას, რომელიც შეიძლება

იყიდოს სახელმწიფომ, ან კერძო კომპანიებმა და პირებმა. აქცენტი ძირითადად პროფილაქტიკურ მედიცინაზე იქნება გაკეთებული, გაცილებით უფრო ნაკლები საშუალება იქნება იმისა, რომ მოხდეს სადაზღვევო თანხების უყიარათოდ გამოყენება.

საერთაშორისო სამედიცინო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში რამდენიმე ასეთი დიდი სამკურნალო-სასწავლო მრავალპროფილიანი ჰოსპიტალის არსებობა იქნებოდა მიზანშეწონილი. მათი უპირატესობა პატარა საავადმყოფოებთან შედარებით დამტკიცებულია.

კონფერენციაზე ასევე გადამწყდა ისიც, რომ ქართველი ექიმებისთვის ჩატარდეს გამოცდები, საკითხები კი მათთვის ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მედიკოსებმა შეადგინონ. ზოგადად, ეს საჭირო და მიღებული მეთოდია ყველა დარგისათვის, მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში ექიმებისთვის იმ სახით მისი ჩატარება, როგორც ეს კონფერენციაზე დაისახა, არა მგონია, რომ მართებული იყოს. მე პირადად მეტად მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიმაჩნია, გამოცდები პირველ რიგში ჩატარდეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის სფეროში მომუშავე პირთათვის. ეს დარგი საკმაოდ სპეციფიკურ ცოდნას მოიცავს და იდეალური იქნებოდა ამ სპეციალობაში გამოცდების ჩატარება ჯანმრთელობის სამინისტროში მომუშავე პირთათვის, რადგანაც მათი როლი და პასუხისმგებლობა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმასა და განვითარებაში ამჟამად გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე პრაქტიკოსი ექიმებისა.

საქართველოში მოღვაწე ექიმების საატესტაციოდ საგამოცდო კითხვების შედგენა ამერიკაში მოღვაწე (ქართველი) ექიმების მიერ, იმის უშუალო ცოდნის გარეშე, თუ რა „სამკურნალო რეალობაა“ საქართველოში, არ არის სწორი და პარადოქსულ შედეგებს მოგვცემს. საქართველოში ყველა დარგში არის საკმარისი რაოდენობის განათლებული და მცოდნე ექიმი,

ვინც შეძლებს საატესტაციო კითხვების კვალიფიციურად მომზადებას და ატესტაციის ჩატარებას. ეს უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი წამყვანი ექიმები, რომლებიც ატესტაციას გაუწევდნენ თავისი დარგის ექიმებს, გარკვეულად პასუხისმგებლებიც იქნებოდნენ იმ შეცდომებისათვის, რომლებიც ტესტირებული ექიმების მოღვაწეობას მოჰყვებოდა.

ის შეხედულება, რომ საქართველოში „ხანშიშესული“ ექიმები ვერ შეძლებენ ამ გამოცდების ორგანიზაციას, ტესტების შედგენას, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მე პირადად საკმაოდ ბევრ ექიმს ვიცნობ საქართველოში, რომელიც თავისი ცოდნით არ ჩამოუვარდება ამერიკაში მოღვაწე ექიმებს. ერთიც მინდა გითხრათ: შემიმჩნევია, რომ აშშ-ში მოღვაწე ქართველ ექიმებს ხშირად თავის პირად

დამსახურებად მიაჩნიათ ის, რაც ამერიკული სამედიცინო განათლებისა და ექიმთა მომზადების სისტემის ეფექტურობითაა განპირობებული. აშშ-ში ექიმობა ძნელი არაა, არც გამოცდების ჩაბარებაა ძნელი. რასაკვირველია, ეს გარკვეულ შრომასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ის ცოდნა, რომელსაც იღებენ ამერიკაში მოღვაწე ექიმები, არის დამსახურება არა ცალკეული პიროვნებისა, არამედ იმ სისტემისა, რომელშიც ისინი სწავებიან. მე ვთვლი, რომ საქართველოში გაცილებით უფრო ძნელია ექიმისათვის თანამედროვე დონის მიღწევა და შენარჩუნება, ვიდრე აშშ-ში. მე დიდი პატივისცემის გრძნობით ვარ განმსჭვალული იმ ექიმების მიმართ, რომლებიც დღესდღეობით საქართველოში ახერხებენ მოღვაწეობას და სათანადო დონის შენარჩუნებას, მიუხედავად ყველა იმ წინააღმდეგობისა, რაც მათ ხვდებათ. სამწუ-

ხაროდ, ამგვარი ექიმების რიცხვი საკმაოდ მცირეა, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ მომავალი რეფორმების აქტიური მონაწილეები გახდნენ (არ ვაპირებ იმის გაიდეალებას, რაც დღეს ქართულ მედიცინაში ხდება – ძალიან ბევრია შემთხვევა არასაჭირო ძვირი მკურნალობისა და გამოკვლევების დანიშნისა, არასწორი დიაგნოზებისა და ა.შ.).

ჟორჟ ბენჟამენ კლემანსომ თქვა, რომ ომი ძალიან სერიოზული საქმეა, რომ ის მხოლოდ სამხედროებს მივანდოთო. იგივე შეიძლება ითქვას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე. ეს მეტად სერიოზული რამაა, და ის მხოლოდ ექიმების (ერთ) ჯგუფს, რაგინდ კვალიფიციურს, უნდა მივანდოთ.

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, კონფერენციის მასალებს გაეცნოს ვებგვერდზე: <http://mdxp.com/index.php>

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge
+995 32 505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

თვალსაზრისი

ჩა ეშვება თბილისის ძველ უბნებს? - II

ქალაქგანვითარების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტების სრული ლოიალობა ქალაქის მერისა და პრეზიდენტისადმი ამ სფეროში უკვე მტკიცედ ფეხმოკიდებული ავტორიტარიზმის ერთ-ერთი გამოსატყულებაა.

ზურაბ ბაქრაძე



ფოტო: მარიამ ბაქრაძე

პურის მოედნის ეს განაშენიანება ხელისუფალთა უმასუხისმგებლობამ შეინირა

ახლობლებმა მისაყვედურეს, რომ წინა სტატიამში (იხ. „ლიბერალი“ №69 და მისი ვებგვერდი <http://liberali.ge/node/6267>) ერთი მოქალაქის მიერ დასმულ კითხვებზე ცალმხრივად და ძალიან ზოგადად გავეცი პასუხი. ახლა შევეცდები ეს ნაკლი გამოვასწორო და მოქალაქეთა პასუხისმგებლობის გარდა ამ საკითხის სხვა ასპექტებსაც შევეხო. შევეცდები, უფრო კონკრეტულიც ვიყო, თუმცა ამ მხრივ ბევრს ვერ შეგპირდებით, რადგან ერთი მხრივ, საკითხი ძალიან კომპლექსურია და მეორე მხრივ, მიუხედა-



ვად იმისა, რომ ქალაქის გაჯანსაღების ზოგადი პრინციპები ცნობილია, ყოველ კონკრეტულ უბანს სრულიად სპეციფიკური მიდგომა სჭირდება.

მამ ასე, ზემოთ ნახსენები „პასუხგაუცემელი“ კითხვები შემდეგია:

„როგორ უნდა განვითარდეს მსგავსი უბნები (საუბარია კერესელიძის ქუჩასა და მის მიმდებარე განაშენიანებაზე ვერაზე. ზ.ბ.)? უნდა დაინგრეს ეს სახლები? კი მაგრამ, როგორი იერსახის სახლები უნდა აშენდეს სანაცვლოდ? საერთოდ, უარი უნდა ვთქვათ მსგავს შიდა ეზოებსა და გარშემო განლაგებულ ორსართულიან სახლებზე? საერთოდ, რის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს ქალაქმა – ძველ, ისტორიულ უბნებში, რა არის შესაანარჩუნებელი და რა არა? რა არის ქალაქის ურბანული ქსოვილის განუყოფელი ნაწილი და რისი დაზინყებისა და დანგრევის უფლება გვაქვს?“

ვიდრე მსჯელობას შევუდგებოდეთ, კარგი იქნება ქალაქგანვითარების რამდენიმე არსებითი პრინციპის ჩამოთვლა, რათა თავიდანვე ცხადი იყოს ის გეზი, რომელიც ამ უბნებისადმი დამოკიდებულებაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

1. ქალაქი თავისი სოციალური და მატერიალური ფორმებით უნდა უზრუნველყოფდეს მოქალაქეებში ისტორიის უწყვეტობის განცდას. მასში მოქალაქე საზოგადოების განვითარების სურათს უნდა ხედავდეს;

2. მოქალაქეთა (როგორც ხელისუფალთა, ასევე არახელისუფალთა) დამოკიდებულება ქალაქთან, ერთი მხრივ, უნდა ეყრდნობოდეს ამ განცდას და მეორე მხრივ, გახსნილი უნდა იყოს სამომავლო იმპულსებისადმი. მათი ქალაქგანვითარებითი საქმიანობა უნდა აღბეჭდილი იყოს პასუხისმგებლობით, შეუქმნას ასეთივე განცდის საფუძველი მომავალ თაობებსაც;

3. ქალაქგანვითარება ორიენტირებული უნდა იყოს საერთოკაცობრიულ სოციალურ იდეალებზე, რომლებიც ყოველი კონკრეტული საზოგადოების შემთხვევაში, მისი განვითარებისა და თავისებურებათა კვალობაზე, კონკრეტულ ელფერს იძენენ. საზოგადოების მიერ ამ იდეალების დაკონკრეტება და ლოკა-

ლურ პირობებთან დაკავშირება უნდა ქმნიდეს ქალაქგანვითარების სტრატეგიულ მიზნებს.

ისევე, როგორც ყველა სხვა ქალაქს, ისტორიულ თბილისსაც აქვს სამწვეროვანი სივრცული სტრუქტურა, რომელიც მისი სასაფუძვლო სოციალური მიმართებების გამოხატულებაა. ეს წვერებია საზოგადოებრივი, ნახევრადსაზოგადოებრივი და კერძო სივრცეები. ამათგან ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცე, რომელიც თბილისში, ძირითადად, შიგა ეზოებითაა წარმოდგენილი, ქმნის ერთგვარ მაჰარმონიზებელ ელემენტს საზოგადოებრივ (მოედანი, ქუჩა, პარკი, წყლის ზედაპირები) და კერძო (ნაგებობათა შიგა სივრცე, მიწის კერძო ნაკვეთი), სივრცეებს შორის. ამის გამო იგი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ფასეულობაა და რადგან თბილისში შიგა ეზოს მკვეთრად გამოხატული ტრადიცია არსებობს, სასურველია ამ უკანასკნელის შემდგომი კულტივირება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიგა ეზო ბავშვებისთვის, რომლებსაც საშუალება ეძლევათ შეიძინონ პირველი სოციალური უნარები ახლო, საზოგადოებრივ სივრცესთან შედარებით უკეთ დაცულ გარემოში. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ძველი უბნების განვითარებისას შიგა ეზო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი შეიძლება იყოს წარსულის მომავალთან დასაკავშირებლად და ამით განვითარების უწყვეტობის შესაანარჩუნებლად.

მეთოდურად სწორია, როცა ქალაქის ფუძემდებლური სივრცული სტრუქტურის ფორმირება იწვევს განაშენიანების ფორმირებას, და არა – პირიქით. ამდენად ქუჩაზე, როგორც საზოგადოებრივი სივრცის ყველაზე ძველ ელემენტზე და ეზოზე, როგორც ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცის ყველაზე ტრადიციულ ელემენტზე მორგებული განაშენიანება ქმნის თანმიმდევრულ, დამაჯერებელ ქალაქურ ქსოვილს. განაშენიანების ასეთი სტრუქტურა შესაძლებელს ხდის გამწვანების, გამწვანებისა და სასარგებლო ფართის მაღალი სიმჭიდროვის ოპტიმალურ შეთანხმებას ისე, რომ განაშენიანების შედარებით დაბალი სარ-

თულიანობა იყოს შენარჩუნებული. ამიტომ საფიქრებელია, რომ კერესელიძის ქუჩისა და მისი მსგავსი უბნების განვითარებისას ასეთი ქალაქური სტრუქტურის შენარჩუნება სამომავლო მოთხოვნებს ეთანხმება.

მიუხედავად ამისა, ამ უბნებში დღეს გაშლილი მშენებლობა სულ სხვა სურათს გვიხატავს. აქ ისევ საბჭოეთის გადმონაშთი „კორპუსი“ ბატონობს, რომელიც დამანგრეველად მოქმედებს არამარტო ჩამოყალიბებულ, არამედ საერთოდ ქალაქურ სივრცულ სტრუქტურაზე და ამდენად ქმნის უხეშ წყვეტას ქალაქური გარემოს განვითარებაში.

სახლების დანგრევა-არდანგრევის საკითხი სხვადასხვა ფაქტორებზე და მათ შორის რენტაბელური მშენებლობის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გასათვლელი, რაც დღეს თბილისში არ კეთდება.

ქალაქის მმართველობამ თბილისი სახვალის მოგებას გამოკიდებულ მენაშენებს (რაც მათთვის ბუნებრივია) შეატოვა, რის სავალალო შედეგებსაც ყველა ვიცნობთ. იმისათვის, რომ ქალაქმა საბოლოოდ მაღალფასეული გარემო მიიღოს, საჭიროა გონივრული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული გრძელვადიანი დაგეგმვა, რაც ფინანსურ დაგეგმვასაც გულისხმობს და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა წარმომავლობის (ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის, საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა) საზოგადოებრივი სახსრების მობილიზებასაც უნდა ითვალისწინებდეს. ასეთი დაგეგმვის ორგანიზება და მისი განხორციელება მხოლოდ ქალაქის მმართველობას შეუძლია. ის კი ამას მხოლოდ მაშინ გააკეთებს, თუ არახელისუფალი მოქალაქეები თვითორგანიზებას მოახერხებენ და ხელისუფალთ აგრძნობინებენ, რომ ქალაქი ყველა მოქალაქისა და არა მხოლოდ ძალაუფლებამოსევეჭილთა.

ამ თვალსაზრისით, ერთი რამ სასწრაფოდაა გასაკეთებელი: ბოლო უნდა მოვლდეს, ერთი მხრივ, მენაშენთა და ერთი საკადასტრო ერთეულის მოსახლეთა გარიგებებს და მეორე მხრივ, ქალაქის

მმართველობის მიერ შემოღებულ დანაშაულებრივ ვაჭრობას სამართლებრივად დადგინილი სიმჭიდროვის კოეფიციენტებით.

ასეთმა პრაქტიკამ ისტორიული უბნების განვითარების მონაწილეთა (ხელისუფალნი, მენაშენები, არქიტექტორები, მოსახლეები) ცნობიერების ჰორიზონტი ერთ საკადასტრო ერთეულამდე შეამცირა. შედეგად შეუძლებელი გახდა უბნების გაჯანსაღების ეფექტიანი კონცეფციების შემუშავება და მათ საფუძველზე ისტორიული ქალაქის კომპლექსური განვითარება. ვინაშ, მოკლევადიან, პირადულ ინტერესებს საზოგადოებრივი ინტერესები შეენირა, ქალაქური გარემო მნიშვნელოვნად გაუფასურდა.

ისტორიული ქალაქის გადასარჩენად და განსავითარებლად აუცილებელია დადგინდეს უბნები, ან მათი ნაწილები, სადაც, ერთი მხრივ, ცხოვრებისა და მუშაობის პირობები სხვადასხვა თვალსაზრისით თანამედროვე მოთხოვნებს არ შეეფერება და სადაც, მეორე მხრივ, ქალაქისთვის მნიშვნელოვანი სოციალური ან მატერიალური ფასეულობებია შესანარჩუნებელი. ასეთი უბნების განსავითარებლად განაშენიანების რეგულირების გეგმები, როგორც წესი, არაეფექტიანია, რადგან ისინი ქმნიან მშენებლობის სამართლებრივ ჩარჩო-პირობებს და არ ითვალისწინებენ უბნის ყოველმხრივი გაჯანსაღების კონკრეტულ ღონისძიებებს. ამას უნდა მოჰყვეს გასაჯანსაღებელი ტერიტორიის საზღვრების სამართლებრივი დადგენა და მის ფარგლებში გარკვეული, დროებითი სამართლებრივი წესრიგის შემოღება, რომელიც შესაძლებელს გახდის გასაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარებას და მათ დამთავრებამდე იმოქმედებს. ეს წესრიგი კონკრეტული უბნის პირობებზე უნდა იყოს მორგებული და ამდენად აქ მისი მხოლოდ ზოგადი აღწერაა შესაძლებელი.

პირველი აუცილებელი პირობა ის უნდა იყოს, რომ გაჯანსაღების ღონისძიებებმა არ აიძულოს უბნის მოსახლეობა, სიდუხჭირის გამო დატოვოს მშობლიური უბანი. ყველა მოსახლეს

უნდა მიეცეს საშუალება თავისი შესაძლებლობის კვალობაზე მონაწილეობა მიიღოს ამ ღონისძიებებში. ამ, საბაზრო ეკონომიკისთვის თითქოს უჩვეულო პირობას კონკრეტული ისტორიული საფუძველი აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თბილისელები ჯერ საბჭოეთის დამყარებისას და მერე მისი ნგრევისას უმაგალითო უსამართლობის მსხვერპლნი გახდნენ. ხელისუფლებამ ჯერ წაართვა მათ უძრავი ქონება, მოუვლელით ნგრევის პირას მიიყვანა იგი და მერე, 1990-ანი წლების დასაწყისში თითქმის ნანგრევებად ქცეული ქალაქი, როგორც ბალასტი, დაუბრუნა უკან და ხელები დაიბანა. ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისთვის და მოქალაქეებს დაეხმაროს მათსავე უბნებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში.

გასაჯანსაღებლად არჩეული ტერიტორია სასურველია, იმხელა იყოს, რომ მშენებლობის საშუალო რენტაბელობა საზოგადოებრივი სახსრების მოზიდვის გარეშე იყოს უზრუნველყოფილი. ესე იგი ინვესტორთა და ამ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მეპატრონეთა ერთობლივი სამეურნეო საქმიანობა მოგებას უნდა იძლეოდეს. რენტაბელურ ნაკვეთებზე მიღებული მოგება არარენტაბელურებზე უნდა გადანაწილდეს ისე, რომ საბოლოოდ მთელი უბნის გაჯანსაღებას დადებითი სამეურნეო შედეგი ჰქონდეს. იქ, სადაც ეს შესაძლებელი არ იქნება, უნდა გამოინახოს ზემოთ ნახსენები საზოგადოებრივი სახსრები, რითაც ანაზღაურდება წამგებიანი მშენებლობის ის წილი, რომელსაც უბანში წარმართული მომგებიანი მშენებლობა ვერ გადაფარავს (მაგალითად, ისეთი შენობების შეკეთება, რომელთა მესაკუთრეებსაც ამისთვის საკმარისი სახსრები არა აქვთ, ან ისეთი საკადასტრო ერთეულების განახლება-გამჭიდროება, სადაც გასაყიდი ფართებიდან ამოღებული თანხით ადგილობრივ მოსახლეთა პირობების გაუმჯობესება ვერ ხერხდება). აქ აუცილებლადაა გასათვალისწინებელი უბნის მოსახლეთა სავალდებულო მონაწილეობა, მათი შეძლების კვალობაზე, გაჯან-

სალების ღონისძიებებში, რათა მუქთად „ბინის მიღების“ საბჭოური მენტალიტეტი ნელ-ნელა დაიძლიოს.

თუ ეს ღონისძიებები გონივრულად დაიგეგმა და განხორციელდა, მათზე დახარჯული საზოგადოებრივი თანხები არსებითად იქნება ინვესტიცია, რომელიც გრძელვადიან მოგებას მოუტანს ქალაქს იმით, რომ ერთი მხრივ, უკეთესი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები ასწევს მოსახლეთა შრომის წარმადობას, რაც საბოლოოდ ქალაქის ბიუჯეტზეც აისახება და მეორე მხრივ, ქალაქს მიმზიდველს გახდის სხვადასხვა ინვესტიციების, ინიციატივების, ტურიზმისათვის, რასაც ასევე სამეურნეო ეფექტი ექნება. მხოლოდ გამოცოცხლებული, დინამიკური, ინიციატივიანი ადამიანთა ქალაქი შეიძლება იყოს მდიდარი ქალაქი. ქალაქური სივრცის, მისი ატმოსფეროს გაჯანსაღება უაღრესად ეფექტურია ამის მისაღწევად.

აქედან ჩანს, რომ ძველი უბნების ეფექტიანი გაჯანსაღება მისი მხოლოდ ერთიანი დაგეგმარებით და მენეჯმენტითაა შესაძლებელი, რაც ღონისძიებათა ყველა მონაწილის (ქალაქის მმართველობის, ინვესტორების და მესაკუთრეების) საქმიანობის ოპტიმალურ კოორდინაციას უნდა გულისხმობდეს.

ასეთი დაგეგმარება და მენეჯმენტი უბანში მისი სპეციფიკის შესაფერი ინიციატივების წახალისებასაც უნდა გულისხმობდეს. სხვადასხვა ბერკეტებით შესაძლებელია უბნის მოსახლეობის მხარდაჭერა როგორც წვრილი ბიზნესის გამართვაში, ასევე სხვა წამოწყებათა დაფუძნებაში (კერძო სამედიცინო პრაქტიკები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის კერძო სტუდიები, მოხუცთა და ავადმყოფთა მოვლის კერძო სამსახურები და სხვ.). ამით შეიძლება არა მარტო უბნის სამეურნეო სიმძლავრის ამაღლება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, არამედ მისი ცხოვრების ახალი შინაარსებით გამდიდრებაც.

უბნის გაჯანსაღების ღონისძიებები, პირველ რიგში, უნდა გულისხმობდეს საზოგადოებრივი სივრცისა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გაჯანსაღებას, ურომლისოდაც ქალაქ-

ქური გარემოს გაუმჯობესება, მისი ფასეულობის ამაღლება შეუძლებელი იქნება. უბანში არსებული ქუჩების, მოედნების, პარკებისა თუ სკვერების განახლება ისევეა ამ მიზნისთვის აუცილებელი, როგორც ტექნიკური ინფრასტრუქტურის – წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტრო და გაზომარაგების სისტემების, ნაგვის გატანის – მოდერნიზება და საზოგადოებრივი ობიექტების ქსელის – ბავშვთა სათამაშო მოედნები, საბავშვო ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები და სხვა – გამართვა. ყველაფერი ამისთვის ქა-

■ თბილისის ძველი უბნების განვითარებისადმი არასწორ მიდგომას ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთია არასრულყოფილი, დაბალი დონის ქალაქმშენებლური კანონმდებლობა და სამართლებრივი ძალის მქონე ქალაქმშენებლური გეგმები, რომელთა შინაარსებიც ხშირ შემთხვევაში ინვესტორთა და ხელისუფალთა პირად სურვილებსაა მორგებული.

ქალაქის მმართველობამ საზოგადოებრივი სახსრების ზიზილ-პიპილოებში და უსარგებლო გზების მშენებლობაში ფლანგვას თავი უნდა დაანებოს და ისტორიული უბნების კომპლექსურ გაჯანსაღებაზე იზრუნოს, რადგან ეს, როგორც ზემოთაც ვთქვი, ქალაქის სამომავლო ინვესტიციაა, ქალაქის სიმდიდრის წინაპირობა.

კითხვებზე, „რის მიხედვით უნდა გადწყვიტოს ქალაქმა – ძველ, ისტორიულ უბნებში, რა არის შესაძარწუნებელი და რა არა? რა არის ქალაქის ურბანული ქსოვილის განუყოფელი ნაწილი და რისი დავიწყებისა და დანგრევის უფლება გვაქვს?“

ქალაქს, ერთი მხრივ, აქვს ძველთა ნუსხა, რომელიც იქ ჩამოთვლილ ნაგებობათა ფასეულობას ადგენს და მათი ადეკვატური აღქმის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მას აქვს სამართლებრივი ძალის მქონე ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაცია, რაც თბილისის შემთხვევაში მინათსარგებლობის გენერალურ გეგმასა და განაშენიანების რეგულირების გეგმებს გულისხმობს. ესეც, თავის მხრივ, ქალაქმშენებლურ კანონმდებლობას უნდა ეყრდნობოდეს და ქალაქში დაკანონებულ მშენებლობის რეჟიმების ზონებს – ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებს – უნდა ითვალისწინებდეს. ეს ინსტრუმენტები თითქოს საშუალებას უნდა იძლეოდეს ქალაქის ფასეულობათა შენარჩუნება-მოვლა-განვითარებისთვის, ანუ იმისთვის, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროფესიონალმა ქალაქგეგმარებლებმა მოქალაქეებთან თანამშრომლობაში დაადგინონ, რა არის ფასეული და დაგეგმონ მის მიმართ გონივრული მოპყრობა. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება და ამ კითხვებზე პასუხებიც პოლიტიკოსთა ოპორტუნიზმის, მენაშენთა სიხარბის, არქიტექტორთა და ქალაქგეგმარებელთა კონფორმიზმის, ძველისდამცველთა დოგმატიზმის და მოსახლეთა განწირულობის კვალობაზე გაიცემა.

საერთოდ, თბილისის ძველი უბნების განვითარებისადმი არასწორ მიდგომას ბევრი მიზეზი აქვს, რომელთაგან აქორს გამოვყოფ. ერთია არასრულყოფილი, დაბალი დონის ქალაქმშენებლური კანონმდებლობა და სამართლებრივი ძალის მქონე ქალაქმშენებლური გეგმები, რომელთა შინაარსებიც ხშირ შემთხვევაში ინვესტორთა და ხელისუფალთა პირად სურვილებსაა მორგებული (იხ. რუსუდან ფანოზიშვილისა და მარიკა ქოჩიაშვილის სტატია „მათი ქალაქი“ <http://liberali.ge/node/6466>). მეორე – ამ ისედაც ნაკლოვანი კანონმდებლობის აღმასრულებელ ინსტიტუტთა სრული ლოიალობა ქალაქის მერისა და პრეზიდენტისადმი, ავტორიტარიზმის ერთ-ერთი გამოხატულებაა. **■**

2001 წლის ივლისი



მარკ მალენი

გავიხსენოთ 2001 წლის ივლისი და თუ რა მოხდა მაშინ. ადრეულ 2000-იანებში ცხოვრება ყველასთვის რთული იყო, თუმცა საქართველოს სახელმწიფოსთვის 2001 წლის ივლისი განსაკუთრებით ცუდი აღმოჩნდა.

შევარდნაძის პირველ საპრეზიდენტო ვადას, რომელიც 1995 წელს დაიწყო, სტაბილურობა უნდა მოეტანა. მან მართლაც მოიტანა სტაბილურობა, მაგრამ არა პოლიტიკური ინსტიტუტების შენებით, არამედ ქვეყნისა და ეკონომიკის ნაწილების თავისი თანამებრძოლებისთვის დარჩევით. 1998 წლის ადგილობრივ არჩევნებს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია და შევარდნაძესაც მხარს ძალიან ცოტა უჭერდა. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე უმრავლესობამ მოქალაქეთა კავშირის მისცა ხმა ნაწილობრივ იმიტომ, რომ ამ პარტიაში იყვნენ რეფორმატორები და თანაც, მისი ალტერნატივა ასლან აბაშიძის ბათუმური კოალიცია ან „ლეიბორისტური პარტია“ იყო. თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდებოდა, „ლეიბორისტები“ 7 %-იან საარჩევნო ბარიერს გადალახავდნენ და პარლამენტში ადგილებს მოიპოვებდნენ, მაგრამ მათ არჩევნების შედეგებში მხოლოდ 6.8 % დაუწერეს. 2000 წელს, შევარდნაძემ საპრეზიდენტო არჩევნები ყოველგვარი კონკურენციის გარეშე მოიგო. ალბათ მაშინ ხმების ნახევარი მაინც გაყალბდა. ამ ბარიერის დაძლევის შემდეგ, ზოგიერთი ფიქრობდა, რომ შესაძლოა შევარდნაძეს მისცემოდა შთაგონება, რომ ანტიკორუფციული



ედუარდ შევარდნაძე

ბრძოლა დაეწყო. 2000-2001 წლის ზამთარში დენი და გათბობა, ფაქტობრივად, არ გვექონდა. იმდროინდელ მოგონებებს შორის არის: სანთლები, ჭორაობა, სიბნელებაში სიმღერა და შეშის გამყიდველები „ვოლგით“ ელბაქიძეზე. გაზაფხული დადგა და აშკარა გახდა, რომ შევარდნაძის მთავრობა კორუფციასთან საბრძოლველად არაფერს გააკეთებდა. ყველაფერი მოლაპარაკებებზე იყო დამოკიდებული. ყველაზე მცირე ადმინისტრაციული აქტიც კი მოითხოვდა ქრთამს, ან ვინმე ისეთთან დარეკვას, რომელიც შეძლებდა შენთვის ქრთამის ოდენობის დაკლებას. ძალიან იშვიათად ხდებოდა ისე, რომ

ვინმეს წარმატებისთვის თავისი შრომით მიეღწია. ქუჩის დანაშაულებები ყველას აწუხებდა. პოლიციას, საუკეთესო შემთხვევაში, კრიმინალი არ აღელვებდა, უარეს შემთხვევაში კი, თვითონ იყო ჩაბმული და აკონტროლებდა ყველა კერძო დანაშაულს. პოლიტიკურად „მოქალაქეთა კავშირი“ დანაწევრებული იყო. ზურაბ ჟვანიას ახალგაზრდა რეფორმატორებით დომინირებული პარლამენტი დიდ კარავს წარმოადგენდა, სადაც ქვეყნის პოლიტიკა დუღდა. მართალია, აღმასრულებელი ხელისუფლება კანონების იმპლემენტაციით არ იყო დაკავებული, მაგრამ ამ კანონების შინაარსზე ბევრს ბჭობდნენ. ეს იყო გამჭვირვა-

ლე და მრავალფეროვანი ინსტიტუტი. აღმასრულებელ ხელისუფლებაში გაბატონებული იყვნენ ძველი, კორუმპირებული კომუნისტები. მათგან საუკეთესო იყო მიაშიტი და ზარმაცი, უარესები კი – კორუმპირებული და სასტიკი. შინაგან საქმეთა მინისტრი იყო კახა თარგამაძე. ქუთაისს ეძახდნენ შაშინგტონს. ასლან აბაშიძეს ჰქონდა სასაზღვრო გამშვები პუნქტები „აჭარის საზღვარზე“ იმისათვის,

■ საქართველოში დღეს

უამრავი პრობლემაა:

აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი,

უმუშევრობა, ინფლაცია

და უამრავი სხვა, თუმცა

დღეს გაცილებით უკეთესი

მდგომარეობაა, ვიდრე

10 წლის წინ. იმ დროს

ადამიანებს ემინოდათ არა

მხოლოდ მთავრობის, არამედ

ერთმანეთისაც.

რომ თავისი ძვირფასი კონტრაბანდის ბიზნესი დაეცვა.

საერთაშორისო ბიზნესმენი ჩარბელ აუნი, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებაში ბევრი იცნობდა და პატივს სცემდა, 7 ივნისს მოიტაცეს და მისმა პარტნიორმა გატაცებულის ფოტოები მთელ ქალაქში გამოაკრა. ყველა უცხოელი ჩაუვლიდა ამ ფოტოებს, შეხედავდა და წუხდებოდა.

ივნისში შეიქმნა პარტია „ახალი მემარჯვენეები“ იმ იმედით, რომ „მოქალაქეთა კავშირში“ უკვე სერიოზული განხეთქილება არსებობდა და ახალი პარტიის გამოჩენის შემთხვევაში შევარდნაძე ამ უკანასკნელს დაუჭერდა მხარს. ეს არ მოხდა, მაგრამ „ახალი

მემარჯვენეები“ გარკვეული დროის მანძილზე ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად დარჩნენ.

სააკაშვილი ამ დროს იუსტიციის მინისტრი იყო და კორუფციის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო აგრესიულ განცხადებებს აკეთებდა. ამ განცხადებებს იგნორირებას უკეთებდნენ. პარალელურად, ზურაბ ჟვანიამ შექმნა პარლამენტის ინსტიტუტი - იმ დროისთვის ალბათ ერთადერთი ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტი საქართველოში, რომელიც მუშაობდა. პოლიტიკურად, ჟვანია ჯერ კიდევ ამაოდ ცდილობდა, რომ შევარდნაძე რეფორმებზე დაეყოლიებინა.

ზაფხულისთვის, მოსახლეობამ უკვე იცოდა, რომ შევარდნაძე რეფორმების გატარებას არ აპირებდა. ყველა იმაზე წუხდა, რომ საერთაშორისო საზოგადოება და განსაკუთრებით ამერიკა, შევარდნაძეს მხარს მაინც უჭერდა. საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ერთ ათწლეულს ითვლიდა და რამდენიმე წელი კიდევ დასჭირდებოდა იმას, რომ ხალხს თავისი რეალური ძალა დაენახა. 2001 წლის ზაფხულში, მასხოვს, ბევრი ადამიანი შეეგუა იმ იდეას, რომ საქართველო უბრალოდ პატარა კორუმპირებული ქვეყანა იყო და მათი ოცნებები ქვეყნის დიდებაზე ამ მდგომარეობას ვერასდროს გასცდებოდა.

კონკრეტული გარდამტეხი მომენტი 2001 წლის 26 ივლისის ღამე აღმოჩნდა, როდესაც გიორგი სანაია, „რუსთავი2“-ის ახალგაზრდა ტელენამყვანი მოკლეს. ის იყო სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, რომლის გადაცემასაც ყოველ ღამე მთელი საქართველო უყურებდა. დღევანდელი გადმოსახედიდან, ძნელი გასახსენებელია, თუ რა მნიშვნელოვანი იყო მაშინ „რუსთავი2“. ის ქმნიდა ერთადერთ საჯარო სივრცეს, რომელიც ამბობდა სიმართლეს და ხალხსაც უყვარდა. მთელი ქვეყანა გაჩერდა, როდესაც „კურიერი“ ეთერში გავიდა. მისი მკვლელობა იყო იმდენად სამწუხარო, სასტიკი და აბსურდული, მასზე ოფი-

ციალური პასუხი და გამოძიება კი – იმდენად ფარისევლური და არაკომპეტენტური, რომ ყველაფერი დასასრულისკენ მიუთითებდა.

პირველად, მიშა გადადგა 5 სექტემბერს და თქვა, რომ შევარდნაძის მთავრობაში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. ერთი თვის შემდეგ, ერთიანი „ნაციონალური მოძრაობა“ შეიქმნა. ოქტომბერში, უშიშროების სამინისტრო შევიდა „რუსთავი2“-ში და ფინანსური დოკუმენტები მოითხოვა, იმის მიუხედავად, რომ ცოტა ხნის წინ ტელეკომპანია გადასახადების დამალვაზე შეამონმეს და ვერაფერი აღმოუჩინეს. ტელეკომპანიამ იმარჯვა და ეს შეჭრა პირდაპირ ეთერში გადასცა. მხარდამჭერები დაუყოვნებლივ მათ ოფისში, დელისზე მივიდნენ და მომდევნო დღეს პარლამენტთან დემონსტრაციები დაიწყეს. მათ შეუერთდა უნივერსიტეტის ათასობით სტუდენტი. როდესაც 2001 წლის 31 ოქტომბერს, ეს სტუდენტები საბურთალოდან, ჭავჭავაძის გავლით, რუსთაველზე მოდიოდნენ, ეს იყო შევარდნაძის ერის დასასრულის დასაწყისი.

საქართველოში დღეს უამრავი პრობლემაა: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, უმუშევრობა, ინფლაცია და უამრავი სხვა, თუმცა დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე 10 წლის წინ. იმ დროს ადამიანებს ემინოდათ არა მხოლოდ მთავრობის, არამედ ერთმანეთისაც. ყველაზე უარესი შიში კი იყო იმის, რომ ჩვენ არ ვიყავით ისეთი დიდებულები, როგორაც თავს ვაჩვენებდით, ან რომ ეს სიდიადე უხსოვარ წარსულში დარჩა. ეს წარმოდგენა შეიცვალა. 2003 წლის და შემდგომმა ცვლილებებმა მსოფლიოს პატივისცემა მოგვიტანა და გვასწავლა, რომ ჩვენს დამოუკიდებელ ქვეყანაში შეგვიძლია ყველაფერი გავაკეთოთ, რაც მოგვესურება. ჩემთვის აბსოლუტურად ცხადია, რომ საქართველო ახლა უკეთესი ქვეყანაა, ვიდრე 10 წლის წინ იყო და დარწმუნებული არ ვარ, რომ ბევრ ქვეყანას შეუძლია იმავეს თქმა. **■**

ჩა ხონს თაშაშობს "ხეიბიუხოზა" ჟახთუი ჰოიიხიუაში



ბევრი მორწმუნე კონსერვატორისთვის
საპატრიარქოს მხარდაჭერა რადიკალურ
პოლიტიკურ ოპოზიციაში ყოფნას არ ნიშნავს.

გიორგი ცხადია

5 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც რელიგიურ ერთობებს თანაბარი იურიდიული სტატუსი უნდა მიენიჭოთ, საპატრიარქოს გაღიზიანება გამოიწვია.

ფორმალურად, ამ კანონის თანახმად, მართლმადიდებელ ეკლესიას და სხვა რელიგიურ ჯგუფებს ერთი და იგივე სტატუსი ექნებათ – „საჯარო სამართლის იურიდიული პირი“, თუმცა საკონსტიტუციო შეთანხმებიდან გამომდინარე, საპატრიარქო მაინც მნიშვნელოვანი სამართლებრივი და მატერიალური პრივილეგიებით ისარგებლებს.

მაშ, რატომ გამოიწვია ამ კანონპროექტმა ასეთი აღშფოთება და რას უნდა ველოდოთ რადიკალურად განწყობილი, „სარწმუნოების დამცველი“ მრევლისგან?

90-იან წლებშიც და განსაკუთრებით, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მართლმადიდებელი ეკლესია გამოხატავდა საქართველოს მოსახლეობის არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ ეთნიკურ იდენტობას. იმის გამო, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ აქცენტი ნაციონალიზმის ეთნიკური გაგებიდან შედარებით ნაკლებად დისკრიმინაციულ – სამოქალაქო გაგებაზე გადაიტანა, ეკლესიის როგორც ეთნიკური იდენტობის გამომხატველი ინსტიტუტის როლიც საგრძნობლად გაიზარდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი

დამოუკიდებელი ექსპერტი საერთოდ უარყოფს ახალი ხელისუფლების მიერ ნაციონალური ნარატივის ასეთ პროგრესულ ცვლილებას. სინამდვილეში, ცვლილება ნამდვილად მოხდა (გაიხსენეთ სააკაშვილის მუდმივი აპელირება „მულტიეთნიკურ საქართველოზე“), მაგრამ ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, თავისთავად არ გულისხმობს ქართული ნაციონალიზმის ერთბაშად გაკეთილშობილებას. მთელ რიგ შემთხვევებში, ახალი, „სამოქალაქო“ ნაციონალიზმი, შესაძლოა, ისეთივე აგრესიული იყოს „უცხოს“ (მაგალითად, ოსებისა და აფხაზების, ან სახელდახელოდ შერაცხული „რუსეთის აგენტების“) მიმართ, როგორც ეთნიკური ნაციონალიზმი არის თავისი „ტრადიციული“ მტრების მიმართ.

ნაციონალური პროექტის ამ ნაწილობრივ გაკეთილშობილებას ტრადიციული ეთნიკური იდენტობის მქონე ქართველების ნაწილი აპყვავს, მეორე ნაწილმა კი გადაწყვიტა, რომ მის იდენტობას მართლმადიდებელი ეკლესია უფრო უკეთ გამოხატავს, ვიდრე პოლიტიკურ სივრცეში არსებული რომელიმე სეკულარული პარტია. უნდა აღვნიშნო, რომ „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ გარდა, ეს სეკულარული ოპოზიციური პარტიებიც კი მუდმივად აპელირებენ რელიგიურ თემებზე.

ის, რომ ბევრი ოპოზიციურად განწყობილი ქართველი საპატრიარქოს ხელისუფლების ერთგვარ პოლიტი-



კურ საპირწონედ თვლის, პირველად იმ დროს გაცხადდა, როდესაც იპოდრომზე შეკრებილი მომიტინგეები გიორგი გაჩეჩილაძემ სამებაში, პატრიარქისთვის „აზრის საკითხავად“ წაიყვანა. დღესდღეობით, „ფეისბუქზე“ შექმნილ ჯგუფს, სახელწოდებით „პატრიარქი გადაარჩენს საქართველოს“ დაახლოებით



ფოტო: ლაშო მამბარიძე / REUTERS

45 000 მხარდამჭერი ჰყავს, ნაკლებად პოლიტიკური ჯგუფი „მე მიყვარს ჩემი პატრიარქი“ კი თავის რიგებში დაახლოებით 100 000-მდე ადამიანს ითვლის.

თუ მიმდინარე მოვლენებიდან აზრის გამოტანა გვსურს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი დაკვირვება: გარკვეული კორელაცია

ნაციონალიზმის სხვადასხვა ვერსიის მიმდევრებს და შესაბამის პოლიტიკურ პარტიებს შორის შეინიშნება, მაგრამ საერთო ჯამში, რელიგიური და ეთნიკური იდენტობის განსხვავებული დონეები ზუსტად არ ემთხვევა პოლიტიკურ დაყოფებს, ანუ გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ყველა მოლიბერალო, სეკულა-

საეკლესიო მსვლელობა, ალილოობის დღესასწაული რისტი ნაციონალისტი ხელისუფლებას უჭერს მხარს და ყველა კონსერვატორი ეთნონაციონალისტი – ოპოზიციას. ბევრი მორწმუნე კონსერვატორისთვის საპატრიარქოს მხარდაჭერა მაინცდამაინც რადიკალურ პოლიტიკურ ოპოზიციამი ყოფნას არ ნიშნავს.

მაგალითად, ნ ივლისს, ქაშუეთის

ნინ გამართულ აქციაზე, სადაც პრეზიდენტისთვის პარლამენტის მიერ მიღებულ ახალ კანონზე ვეტოს დადება უნდა მოეთხოვათ, ქართველი ერის ის ნაწილი უნდა შეკრებილიყო, რომელსაც საქართველოს მონოეთნიკური და „მართლმადიდებლური“ იმიჯი აღელვებს. აქციაზე სინამდვილეში, 150-მდე ადამიანი მივიდა და მათი მოთხოვნის მიუხედავად, პრეზიდენტმა კანონპროექტს იმავე დღესვე მოაწერა ხელი.

ცხადია, ამ აქციაზე მცირე რაოდენობის ხალხის გამოჩენამ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ საპატრიარქოს პროტესტს მათ გარდა არავინ იზიარებდა. „ფეისბუქზე“ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, 7 ივლისის მონაცემებით, პატრიარქის განცხადებას 6000-ზე მეტი ადამიანი უჭერდა მხარს და მხოლოდ 411 არ ეთანხმებოდა. უბრალოდ, საქმე ის არის, რომ ამ 6000-ის აზრი პირდაპირ პოლიტიკურ პროტესტად არ გარდაიქმნა.

■ ახალგაზრდებს შორის რელიგიურობისა და ნაციონალიზმის მალალი დონე, ერთი მხრივ, იმის მაუწყებელია, რომ ამ თემებით მანიპულირება რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებს დღესდღეობით მაინც გაუჭირდებათ, მეორე მხრივ, ეს ფაქტი იმასაც გვეუბნება, რომ მომავალში რელიგიური და ნაციონალისტური რიტორიკის გასაჩაღებლად ნაყოფიერი ნიადაგი მზადდება.

სამწუხაროდ, სერიოზული მეცნიერული კვლევა საქართველოში მოქალაქეების პოლიტიკურ ორიენტაციასა და „რელიგიურობას“ შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე არ ჩატარებულა. ფაქტებზე დაყრდნობით, ჯერჯერობით, სულ მცირე იმის ვარაუდი შეგვიძლია, რომ არ არსებობს ძლიერი კორელაცია რელიგიურობის დონესა და პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის მზადყოფნას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში ცხოვრობს ბევრი მორწმუნე, კონსერვატორი, „ტრადიციონალისტი“ ქართველი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პრო-

ცესებს გულგრილად უყურებს და მიუხედავად ხელისუფლების სეკულარულ-„ლიბერალური“ იმიჯისა, არ აპირებს მის წინააღმდეგ გამოვიდეს.

პოლიტიკური პროცესების მიმართ განსაკუთრებით გულგრილია ქართული საზოგადოების ყველაზე მეტად რელიგიური ნაწილი – ახალგაზრდობა (რაც უნდა გასაკვირი იყოს, რელიგიურ თემებზე დისკუსიებში ყველაზე მეტად სწორედ ახალგაზრდები აქტიურობენ). ხშირად, მათ გამოკვეთილი პოლიტიკური ორიენტაცია არ აქვთ. თითქმის ყველა დამკვირვებელი აღნიშნავდა, რომ ბოლო წლებში გამართულ ოპოზიციურ მიტინგებში ყველაზე ნაკლებად ახალგაზრდა თაობა (18-დან 30 წლამდე ადამიანები) მონაწილეობდნენ.

ახალგაზრდებს შორის რელიგიურობისა და ნაციონალიზმის მალალი დონე, ერთი მხრივ, იმის მაუწყებელია, რომ ამ თემებით მანიპულირება რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებს დღესდღეობით

ბის პროგრამებმა ვერ იმუშავა საშუალო სკოლებში, რადგან ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლების სწავლების მეთოდები და შინაარსი არსებითად იგივე დარჩა. ამას გარდა, თავად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, როგორც ჩანს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ლიბერალურ, ზოგად განათლებას და მთელ რიგ შემთხვევებში, ვინრო სპეციალიზაციით (ბიზნესი, ფინანსები და ა.შ.) შემოიფარგლებიან.

თუ ჩავთვლით, რომ პრობლემა არა მხოლოდ ლიბერალური იდეების გავრცელების საშუალებების ნაკლებობაში, არამედ ნაციონალიზმის ლიბერალური ვერსიის შინაარსშია, მაშინ „უკეთეს ვერსიაზე“ ფიქრიც უნდა დავიწყოთ. ფაქტია, რომ ნაციონალისტური პროექტის სააკაშვილისეული ვერსია ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, ისეთივე აგრესიული და არალიბერალური იყოს, როგორც მისი ეთნონაციონალისტური წინამორბედი.

ამასთანავე, უნდა გავახშიროთ დისკუსიები ჩვენს რეგიონულ იდენტობაზე: ვინ ვართ ჩვენ – ევროპელები თუ აზიელები? თუ ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაცია გვინდა, მაშინ რატომ ვუნესებთ ჩვენს თავს არაევროპულ კრიტერიუმებს? მაგალითად, როდესაც სხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფებისადმი არატოლერანტულობის გამართლება უნდათ, მაშინვე თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის და სხვა რელიგიურ-კონსერვატორული ქვეყნების მაგალითები მოჰყავთ ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, ვინ გვინდა რომ ვიყოთ: ჩვენი რეგიონის მორიგი კონსერვატორულ-ავტორიტარული რეჟიმი, თუ „დემოკრატიის შუქურა“ და ტოლერანტობისა და თავისუფლების ცენტრი? უნდა გავხედოთ თუ არა გამორჩეული ქვეყანა ჩვენს რეგიონში?

ჯერჯერობით, მხოლოდ ის ჩანს, რომ რეგიონის სხვა ქვეყნებისგან არაფრით განვსხვავდებით და ჩვენს პოლიტიკურ და სამოქალაქო აზროვნებაში მნიშვნელოვანი გარდევები არ შეინიშნება. ამიტომ, დავიწყოთ ფიქრი იმაზე, თუ ვინ ვართ და რა მიმართულებით მივდივართ. **■**



ბაიპ

მიზანმიმართული ნაბიჯებით მომსახურებას ხელვწეზად ვაქცევთ

თანამედროვე ტექნოლოგიებით და კომფორტული სერვისით ვემსახურებით სამ კონტინენტზე განთავსებულ 10 აეროპორტს და ამით წარმოვაჩენთ ჩვენს უბადლო გამოცდილებას. მყარი ნაბიჯებით მივიწვევთ ჩვენს მიერ დასახული მიზნისკენ, მოვემსახუროთ წელიწადში 100 მილიონ მგზავრს. ამგვარი ღირებულებების წყადობით, უნაკლო მომსახურებით, ჩვენ ავიაციას ხელვწეზად ვაქცევთ.

"ნოკიას" დასაბამი

„ნოკიას“ საუკეთესო ნლები წარსულში დარჩა. ერთ დროს გიგანტური და მომხმარებლების საყვარელი კომპანია ახლა „ჩვეულებრივ“ რეალობასთან შეგუებას იწყებს.

სალა ნაზარენკო, ჰელსინკი

1990-იან წლებში, რომელიც ახლა ძალიან შორეულ წარსულად გვეჩვენება, ჩემს მეგობარ ჰანას ე.წ. „კომუნიკატორი“ ჰქონდა: მოუხერხებელი მონყობილობა, რომელსაც ხელჩანთაში ვერაფრით ტევდა. მაგრამ კომუნიკატორი მხოლოდ მობილური ტელეფონი როდი იყო. ეს აგურისხელა მონყობილობა ერთგვარ მინიკომპიუტერს წარმოადგენდა, რომლის საშუალებით ჰანას ნებისმიერ ადგილას საკუთარი ელექტრონული ფოსტის შემოწმება შეეძლო. მასხოვს, ერთხელ ერთ-ერთი მოდური ბარის ტუალეტში ამოწმებდა ფოსტას. იმ დროს ეს მონყობილობა ნა-

მდვილად რევოლუციური იყო, მაგრამ ჩვენს შურს უფრო მეტად ის ამძაფრებდა, რომ ამ მაგიური ტელეფონით ჰანას მისი დამსაქმებელი კომპანია „ნოკია“ უზრუნველყოფდა.

1990-იან წლებში, რომელიც ახლა ძალიან შორეულ წარსულად გვეჩვენება, „ნოკია“ დღითიდღე იზრდებოდა. სამსახურის გამოცვლის შემდეგ, ჰანა სულ გვეუბნებოდა, რომ სხვაგან მუშაობას ვერ ეგუებოდა. რადგან „ნოკია“ მსოფლიოში საუკეთესო იყო“, მისთვის მუშაობა კი – დიდი პატივი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთხანს კომპანიის სლოგანი – „ვაკავშირებთ ხალხს“ სა-

ზოგადობამ ხუმრობით საპირისპირო დევიზით ჩაანაცვლა – ჩვენ „ვანგრევეთ ოჯახებს“, რადგან „ნოკიას“ ინჟინრები მთელ დროს სამშობლოს სიამაყედ ქცეულ კომპანიაში ატარებდნენ.

მიუხედავად ამისა, ჰანა „ნოკიადან“ დროულად წამოვიდა – მაშინ, როცა ფინეთის 50 ყველაზე მსხვილი გადასახადების გადამხდელიდან 49 „ნოკიაში“ მუშაობდა, „ნოკიას“ ექსპორტი კი ფინეთის მთელი ექსპორტის 20 პროცენტს შეადგენდა. 2000 წელს ნოკიას აქციების ფასმა 223 მილიარდ ევროს მიაღწია!

თუმცა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს ერთადერთი რეკორდი,



NOKIA
Connecting People

რომელიც „ნოკიას“ ეკუთვნის – აქციებზე გამოცხადებული ყველაზე დაბალი ფასებია. ჰანას კოლეგების უმრავლესობა კომპანიიდან ან თვითონ წავიდა, ანდა გაუშვეს. და ეს მოხდა იმ ფონზე, როცა „ნოკია“ ჯერ კიდევ რჩება მსოფლიოში მობილური ტელეფონების ყველაზე დიდ მწარმოებლად.

რა დაემართა „ნოკიას“ და რატომ – ეს კითხვა ფინეთში ყველას გვანუხეზს. იმ კომპანიის ეკონომიკის გაგება, რომლის ღირებულებაც რამდენიმე მილიარდი ევროა, ადვილი არ არის, თუმცა, რამდენიმე ახსნა მაინც არსებობს.


ერთ-ერთი ახსნა მენეჯმენტის კულტურასა და მიდგომებს უკავშირდება. როგორც გაზეთ „Helsingin Sanomat“-სთვის მიცემულ ინტერვიუში „ნოკიას“ ერთ-ერთმა ტოპ მენეჯერმა განაცხადა, მობილური გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ მოწყობილობა. მობილური ტელეფონით სარგებლობა პირადი სფეროა და ემოციებთან არის დაკავშირებული. 1990-იან წლებში, როცა „ნოკია“ წარმატების ზენიტში იყო, მისი საქმიანობა დღითი დღე უფრო ეფექტიანი ხდებოდა, რაც ამ კომპანიის მზარდ შემოსავლებსაც განაპირობებდა. ამ პერიოდში „ნოკია“ ახერხებდა, თანამედროვე ინჟინერია წარმატებით შეეხამებინა შემოქმედებითობასა და ემოციებთან. შემდეგ კი სწორედ ამ ბალანსის დაცვა დაიწყო და მთელი ყურადღება ინჟინერიაზე გადაიტანა. შედეგად, ბრტყელი, მოსაწყენი, ერთმანეთის მსგავსი ტელეფონები მივიღეთ. „ნოკიას“ შიდა ფილიალებმა, გარე კონკურენტებთან გამკლავებაზე ფიქრის ნაცვლად, ერთმანეთთან გაჯიბრება დაიწყეს. ამ კომპანიამ ცოტა, მაგრამ უკეთესი ტელეფონების წარმოების ნაცვლად, მთელი ფსონი მისაღები, მაგრამ არა საუკეთესო ტელეფონების მასობრივ წარმოებაზე დადო.

თუმცა, ეს დაღმასვლის მხოლოდ დასაწყისი იყო. საბოლოოდ „ნოკია“ iPhone-მა დააჩოქა. 2007 წელს ბაზარზე გამოჩენის პირველივე დღიდან iPhone-მა „ნოკია“ პანიკაში ჩააგდო. პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, „ნოკიას“ ინჟინრებმა ასობით iPhone

შეუკვეთეს, დაშალეს და ამ ტელეფონების წარმატების საიდუმლოს მოძებნა სცადეს. iPhone-ის მსგავსი წარმატებული პლატფორმის შექმნის მცდელობისას, ნოკიამ ჯერ Meego, შემდეგ კი Symbian ათვისა – თუმცა ეს სისტემები საშუალო ფასის ტელეფონებში Google-ის ანდროიდს, ხოლო მაღალი კლასის ტელეფონებში iPhone-ს კონკურენტობას მაინც ვერ უწევს. ახლა „ნოკია“ პლატფორმას კიდევ ერთხელ ცვლის. Windows Phone 7-ის პლატფორმაზე დაფუძნებული ტელეფონები ბაზარზე ოქტომბერში გამოჩნდება – ამ ინიციატივის უკან Microsoft-დან გადაბირებული „ნოკიას“ აღმასრულებელი დირექტორი სტივენ ელოპი დგას.

ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ Windows-თან თანამშრომლობით კომპანია ახალ, არცთუ ისე წარმატებულ რეალობასთან ადაპტაციას იწყებს. „ნოკია“ ხომ სმარტფონების ბაზარს უკვე უიმედოდ ჩამორჩა, ხოლო დაბალი ხარისხის ტელეფონების წარმოებით ჩინელებს ვერ შეეძრება. Windows-ზე დაფუძნებული ტელეფონი კი წარმატებული რომც გამოდგეს, „ნოკიას“ მაინც გაყიდვებისა და შემოსავლების უფრო დაბალ მაჩვენებლებთან მოუწევს შეგუება.

ამ გიგანტური კომპანიის „დაცემა“ ფინეთში ძალიან მტკივნეულად განიცადეს, მაგრამ ფინელები გვირახბის ბოლოს სინათლეს მაინც ხედავენ. პოზიტიურად შეიძლება მივიჩნიოთ თუნდაც ის, რომ ამ გიგანტი კომპანიის ერთ ჩვეულებრივ, დიდ საწარმოდ გადაკეთება მუშახელს გამოათავისუფლებს. ის ინჟინრები, ვისაც ბოლო წლებში „ნოკიას“ მზარდი ბიუროკრატიის პირობებში უწევდათ მუშაობა, საკუთარ ცოდნას რაიმე ახლის შესაქმნელად გამოიყენებენ.

როგორც ჩანს, „ნოკია“ ფინეთისთვის მეტისმეტად დიდი იყო: ყველაზე ნიჭიერები თავისთან მიჰყავდა, უზარმაზარ სახელმწიფო სუბსიდიებს იღებდა, მცირე კომპანიებს კი აკოტრებდა. ახლა სწორედ ეს რეალობა შეიცვლება. ფინელმა გამომგონებლებმა კი, ეგებ, რაიმე ახალი შექმნან. 



საეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ
ჟურნალი „ლიბერალი“
თითოჯინს ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა
ახლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი
ყოველ ორშაბათს
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

(599) 48 62 41

ან მოგვანოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge

FACEBOOK-ს ვიდეოჩატი დაემატა



Facebook-ის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა 6 ივლისს სოციალური ქსელის ახალი ფუნქცია ვიდეოჩატი წარადგინა. ცუკერბერგმა ასევე განაცხადა, რომ Facebook-ს უკვე 750 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს.

ვიდეოჩატი მომხმარებლებს ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებას პირდაპირ პროფილის გვერდიდან მისცემს. ახალი ფუნქცია სოციალურმა ქსელმა Skype-თან თანამშრომლობით შექმნა.

სერვისის მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი უახლოეს კვირებში გახდება. პარალელურად, Facebook-ი კიდევ ერთ ახალ ფუნქციას – ჯგუფურ ტექსტურ ჩატს უშვებს, რომელიც მომხმარებლებს ერთდროულად რამდენიმე მეგობართან საუბრის საშუალებას მისცემს. ამასთან, თუკი რომელიმე მათგანი კომპიუტერთან არ იქნება, მონაცემებით ჩატის ისტორიის ნაკითხვას შეძლებს.

ცუკერბერგმა „შთამბეჭდავი“ სერვისი გასულ კვირას დააანონსა, თუმცა სიურპრიზი სოციალური ქსელის დამფუძნებელს არ გამოუვიდა: ჟურნალისტებმა ეს ინფორმაცია ვიდეოჩატის ოფიციალურ წარდგენამდე გაავრცელეს.

Facebook-სა და Skype-ს თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვთ. სოციალური ქსელის ბევრი ფუნქცია ინტერნეტ-ტელეფონის ბოლო ვერსიაში ინტეგრირებული.

ექსპერტების განცხადებით, Facebook-ისა და Skype-ის თანამშრომლობა ორივე კომპანიისთვის მომგებიანია: Skype საკუთარ აუდიტორიას გაზრდის, სოციალურ ქსელს კი Google-თან კონკურენციაში დაეხმარება, რომელმაც ცოტა ხნის წინ საკუთარი სოცია-

ლური ქსელი Google+ გაუშვა. ინტერნეტ-გიგანტის ახალ მომსახურებაში ვიდეოკონფერენციის ფუნქცია იქნება ინტეგრირებული. სპეციალისტები ამბობენ, რომ Google-სა და Facebook-ს შორის ნამდვილი ომი იწყება. Google+-ის გაშვებისთანავე მარკ ცუკერბერგი ახალ სოციალურ ქსელზე დარეგისტრირდა და ყველაზე პოპულარული მომხმარებელი გახდა. მოგვიანებით Facebook-მა ფუნქცია Circle Hack შექმნა, რომელიც მეგობრების „წრებად“ გაერთიანების საშუალებას და მათთვის მონაცემებზე დამკვიდრების სხვადასხვა დონეების მინიჭებას ითვალისწინებს. ეს ფუნქცია კი Google+-ის Circles-ის სრული ანალოგია.

LEAPPAD-პლანშეტი ბავშვებისთვის

სათამაშოების მწარმოებელმა LeapFrog-მა საბავშვო პლანშეტი LeapPad Explorer შექმნა. მონაცემობა 4-დან 9 წლამდე პატარებისთვისაა განკუთვნილი. LeapPad 5 დიუმიანი ეკრანით, მიკროფონით და ფოტო და ვიდეოკამერითაა აღჭურვილი.

პლანშეტზე შესაძლებელია სასწავლო თამაშებისა და პროგრამების გაშვება. შესაბამისი 4 დამატება მონაცემობის მესხიერებაში უკვე განთავსებულია, დაახლოებით 100-მდე პროგრამა კი LeapFrog-ის საიტზეა ხელმისაწვდომი.



პროგრამები განკუთვნილია წერა-კითხვის, მუსიკისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესასწავლად.

საბავშვო პლანშეტი აშშ-ის ბაზარზე 15 აგვისტოდან გამოვა და 100 დოლარი ეღირება. დამატებების ფასი კი 5-25 დოლარია. ჯერჯერობით უცნობია, მოხდება თუ არა LeapPad Explorer-ის რეალიზაცია სხვა ქვეყნებში.

HP TOUCHPAD-ის გაყიდვები დაიწყო

ამერიკაში iPad-ის ყველაზე ძლიერი სავარაუდო კონკურენტის HP TouchPad-ის გაყიდვები დაიწყო. რამდენიმე დღეში მონაცემობა ევროპის ქვეყნების ბაზრებზეც გამოჩნდება.

TouchPad-ის 16 გიგაბაიტისანი მოდელი 499,99 დოლარი ღირს, 32 გიგაბაიტისანი კი – 599,99. აღსანიშნავია, რომ ზუსტად იგივე ფასი აქვს iPad 2-საც.

TouchPad პირველი პლანშეტი, რომელიც webOS-ის მოდიფიცირებულ პლატფორმაზე მუშაობს. ამ დრომდე ეს



ოპერაციული სისტემა მხოლოდ სმარტფონებში გამოიყენებოდა. ექსპერტები თვლიან, რომ აღნიშნული პლატფორმა და კომპიუტერული ტექნიკის უმსხვილესი მწარმოებლის დიდი გამოცდილება TouchPad-ს Apple-ს ჰეგემონიასთან ბრძოლაში დაეხმარება.

HP ამერიკულ ოპერატორთან AT&T-თან პარტნიორობასაც გეგმავს. თანამშრომლობის ფარგლებში კომპანია TouchPad-ის სპეციალური ვერსიის გამოშვებას აპირებს, რომელიც ფიჭური ქსელებით მონაცემთა გადაცემის მოდულით იქნება აღჭურვილი.

TouchPad-ის მომხმარებლებისთვის დაახლოებით 300 დამატებაა ხელმისაწვდომი, რომლებიც სპეციალურად HP-ს პლანშეტისთვისაა ოპტიმიზირებული. აღსანიშნავია, რომ iPad-ისთვის ამ დროისთვის უკვე 90 ათასზე მეტი პროგრამაა შექმნილი.

TouchPad HP-მ თებერვალში წარადგინა. მონაცემობას 9,7 დიუმიანი ეკრანი და ორბირთვიანი პროცესორი აქვს. კომპანია ყოველწლიურად 100 მილიონზე მეტი მონაცემობის გაყიდვას გეგმავს.

ქალიშვილობა IPHONE-ს სანაცვლოდ



მას შემდეგ, რაც 17 წლის ჩინელმა ახალგაზრდამ iPad-ის შესაძენად თირკმელი გაყიდა, ახლა ჩინურ პროვინცია ჰუანდუნში მცხოვრები გოგონა შეეცადა, საოცნებო iPhone ქალიშვილობაში გაეცვალა.

ერთ-ერთ სოციალურ ქსელში გოგონამ დაწერა, რომ iPhone-ის ყიდვის უფლებას მამა არ აძლევს, პოსტს თან დაურთო საკუთარი ფოტო და მსურველებს Apple-ის სმარტფონის სანაცვლოდ საკუთარი ქალწულობა შესთავაზა.

სოციალური ქსელის მომხმარებლებს განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ გამოუჩენიათ. ნაწილმა განაცხადა, რომ ქალიშვილობა iPhone-ზე იაფია, ნაწილმა კი დაასკვნა, რომ გოგონას ანგარიში გატეხეს და ამ განცხადებით მას უბრალოდ „დასცინეს“.

გააღე კარი სმარტფონით

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში განვითარებული ქვეყნის მოქალაქეების ჩანთები, საფულეები და ჯიბეები მნიშვნელოვნად შემსუბუ-



ქდება. ექსპერტები ამბობენ, რომ იმ ნივთების ჩამონათვალადან, რომლებსაც ადამიანები ყოველდღიურად ატარებენ, გასაღებები გაქრება.

ახალი ტექნოლოგიები გასაღების ნაცვლად შესაბამისი პროგრამით ალჭურვილი სმარტფონის გამოყენების საშუალებას იძლევა. ამ პერსპექტივას უკვე მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება საკეტებისა და ავტომობილების მწარმოებლებმა. ჯერჯერობით, შესაბამისი სტანდარტი არ არსებობს, თუმცა ზოგიერთი კომპანია მომხმარებელს უკვე სთავაზობს საკეტებს ინტერნეტის მხარდაჭერით, რომელთა გახსნა და დაკეტვა ონლაინ-ბრძანებითაა შესაძლებელი.

მაგალითად, საკეტების მწარმოებელი Schlage მომხმარებლებს „ჭკვიანი“ სახლის ინტერნეტით მართვის საშუალებას აძლევს. მათ არა მხოლოდ კარის გაღება, არამედ გათბობის, კონდიციონერისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დისტანციურად რეგულირებაც შეუძლიათ. General Motors-ის წლევანდელი მოდელების უმეტესობაზე კი სისტემა OnStar ინსტალირდება, რომლითაც ავტომობილის მფლობელები სმარტფონით არა მარტო ხსნიან ავტომანქანას, არამედ ქოქავენ კიდევ.

სპეციალისტები ამბობენ, რომ მომდევნო წლების განმავლობაში ინტერნეტსაკეტებს NFC ჩიპებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ჩაენაცვლება, რომლებიც ყოველგვარი ქსელის გარეშე იმუშავებს. შესაბამისი ფუნქციებით უკვე ხდება ზოგიერთი სმარტფონის ალჭურვა, 2015 წლისთვის კი ტელეფონები ასეთი ჩიპებით საკმაოდ გავრცელდება. შესაბამისად, მომხმარებლები კარს ნამკითხველზე სმარტფონის მიახლოებით გახსნიან.

HOTMAIL 15 წლისაა

Microsoft-ის ელექტრონული ფოსტის სერვისი Hotmail.com 15 წლის გახდა. ამჟამად სერვისით 360 მილიონზე მეტი მომხმარებელი სარგებლობს და ამ მაჩვენებლით Hotmail.com ყველაზე მსხვილი ელექტრონული საფოსტო მომსახურებაა.




ინტერნეტ-მომხმარებლები ყოველთვიურად Hotmail.com-ის დახმარებით 1,5 მილიარდ ფოტოზე მეტს აგზავნიან. შარშანდელთან შედარებით სერვისის ნავიგაცია 75 პროცენტით გაიზარდა. Microsoft-მა Hotmail.com 1996 წლის ივლისში გაუშვა.

დღეში 200 მილიონი შეტყობინება TWITTER-ზე



Twitter-ის მომხმარებლები დღეში 200 მილიონზე მეტ შეტყობინებას აგზავნიან. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, 2009 წლის იანვარში ეს მაჩვენებელი 2 მილიონი იყო, 2010 წლისთვის კი 65 მილიონამდე გაიზარდა.

შეტყობინებების რაოდენობა, რომელიც Twitter-ზე ყოველდღიურად ქვეყნდება, დაახლოებით 10 მილიონ-გვერდიან ნივთს უტოლდება. ტექსტის სრულად წასაკითხად ერთ ადამიანს დაახლოებით 31 წელი დასჭირდება. 

მომზადა ნინო ნატროშვილმა.

"ტკბილი სახლის" დიასახლისები და მამასახლისები



მოკლემეტრაჟიანი თეატრალური „არდიფესტის“ ხანგრძლივად თავისუფალი სუნთქვა

დავით ბუხრიკიძე

„ტკბილი სახლი“ ახალგაზრდა დრამატურგის, დათა ფირცხალავას ცინცხალი პიესაა, რომელსაც სამეფო უბნის თეატრში, „არდიფესტის“ ბოლო, ყველაზე მხურვალე საკონკურსო საღამოს, ყველაზე მხურვალე აპლოდისმენტები ერგო. შვიდკაციანმა ჟიურიმ, რომლის თავმჯდომარე კლასიკოსი თემურ ჩხეიძე იყო, გარკვეული რისკის მიუხედავად, მაინც წაახალისა ახალგაზრდული სითავეხდით გაჯერებული, გაბედული შავი იუმორი: ფესტივალზე წარმოდგენილ ქართულ პიესებს შორის საუკეთესოს პრიზი სწორედ „ტკბილ სახლს“ ერგო.


დათა ფირცხალავას ტექსტი მშობლების უანგარო ღვაწლსა და ტრადიციულ არქეტისს საფუძველშივე გამოიცხავს. უკაცო და უქალო სახლში, უფრო ზუსტად აბაზანაში, ორი ძმა ცხოვრობს. მათ საარსებო, ეგზისტენციურ გარემოს მხოლოდ უნიტაზში ჩარეცხილი წყლის ხმა ავსებს, ხანაც ნათესავის გამოგზავნილი წერილი და ვითომ თანაგანცდა ბიჭების ახლად გარდაცვლილი მშობლების გამო („ალბათ, გიჭირთ ქალური საქმეების კეთება, რაც დედათქვენი მოკვდა და ზედ მიაკვდა მამათქვენი“)...

პიესის მძაფრი სოციალურობა და სიგიჟენარევი ირონია კარგად ერთმანება ცოცხალ დიალოგებს, ხოლო ავტორის გაბედულება და სითამამე მართლაც კარგი საკვებია რეჟისორული ფანტაზიისათვის. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი თავად დათა ფირცხალავაა, რაც უკვე მნიშვნელოვანი ფაქტია. ჩვენთან ხომ უფრო რეჟისორები წერენ

და დგამენ პიესებს, ვიდრე დრამატურგები „ერევიან“ რეჟისურაში...

ტრაგიკული ფინალი, როცა უფროსი ძმა უმცროსს, ფაქტობრივად, აბაზანაში თავის დახრჩობას აიძულებს, არ გამოიცხავს არც თანაგრძნობას და არც სოციალურ პროტესტს. ფირცხალავას პიესა კიდევ ერთ, უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოაჩენს: რა მოუვათ ობლებს, როცა „ტკბილი სახლის“ დიასახლისებისა და უფრო მეტად მამასახლისების კვალი ნაიშლება? დაკაცდებიან თუ არა ნორჩი დავითი (მირიან ჯეჯელავა) და კიდევ უფრო ნორჩი მირიანი (დავით ჭიჭინაძე), როდესაც აღარც სოციალური აგენტის დახმარების იმედი ექნებათ და არც ნათესავების გამამხნეველები, ყალბი წერილების თერაპიული დანიშნულება დასჭირდებათ? მე კი, როგორც რიგითი „თეატრალური მუშაკი“, დიდი სიამოვნებით დაველოდები, როდის დაიდგება ეს გაბედული, სხარტი და ცინიკური პატარა პიესა სხვა სცენებზეც.

როდესაც სამეფო უბნის თეატრში, სამი წლის წინ, „25 წუთიანი სპექტაკლების ფესტივალი“ დაარსდა, ცხადია, ვერავინ წარმოდგენდა, რომ მალე ის თეატრალურ ლაბორატორიად იქცეოდა. არადა, „არდიფესტის“ მიზნები გაცილებით მოკრძალებული ჩანდა: თანამედროვე დასავლური და ქართული პიესების პოპულარიზაცია და ახალი, მაგრამ სასარგებლო „თეატრალური ბაცილები“ გავრცელება. სამ წელიწადში მაყურებელი არა მარტო ნორჩი ტალანტების (რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები) გაზრდა-გახარების თანამონაწილე გახდა, არამედ



თავადაც გაუჩნდა სიახლის მოთხოვნილება. რაც თავის მხრივ, ფესტივალის დამფუძნებლის, ნიკა თავაძისა და აღმასრულებელი პროდიუსერების – დავით გაბუნიასა და დათა თავაძის – „მადას“ კიდევ უფრო აძლიერებს. თუმცა როგორც ჩანს, არც თბილისის მერიის კულტურის სამსახური თვლემდა, რომელმაც წელსაც მხარი დაუჭირა ფესტივალს.

30 ივნისიდან 4 ივლისამდე, სამეფო უბნის თეატრში მოსულ მაყურებელს საშუალება ჰქონდა 14 ახალი სპექტაკლი და პიესა ენახა! ეს თეატრალური სკეპტიციზმით შეპყრობილ დროში, არცთუ ცოტაა. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს: „თევზის ივენანა“ (პიესის

ავტორი და რეჟისორია ალექსანდრე ლორთქიფანიძე, კრიტიკოსებმა „ბედნიერებისა და სიყვარულის ძილისპირულად“ მოიხსენიეს. თუმცა შეგვეძლო უფრო მარტივად – სადაც ძილისპირულია, იქ სიყვარული ყოველთვის თვლემს.

საზღვაო სურნელით მოთხრობილი იგავი მამა-შვილის შესახებ, პოეტურობის პრეტენზიით არის მოწოდებული, თუმცა ნანარმოებს დრამატურგიის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ – სიცხა-

უბრალოდაც კი. გაგა შიშინაშვილის მსახიობური ნამუშევარი სამეფო უბნის თეატრში, პენელოპე სკინერის პიესის მიხედვით დადგმულ „ბრმა ფერში“ ვნახე. საკმაოდ ნიჭიერი მსახიობია, მაგრამ პლასტიკისა და მეტყველების დახვეწა მაინც სჭირდება.

პლასტიკის მხრივ პრობლემა არ ჰქონდა გიორგი ვარდოსანიძეს, რომელიც, ჩემი აზრით, ასევე იმსახურებდა პრიზს მამაკაცის როლისათვის პაატა ციკოლიას სპექტაკლში Love Rats. თუ-

ბიან მსახიობები – შაკო მირიანაშვილი და იაკო ჭილაია. პირველი ჯერ კიდევ გასულ წელს დააჯილდოვეს საუკეთესო მსახიობური ნამუშევრისათვის, მეორეს კი აღიარება (ცხადია, სათანადო წრთვისა და აღჭურვის შემთხვევაში) ჯერ კიდევ წინა აქვს.

ყურადღება კიდევ რამდენიმე სპექტაკლმა მიიქცია: „სრულიად საქართველოს მოსახლეობის აზრი“ (პიესის ავტორი და რეჟისორი იოსებ ბაკურაძე), „Wodka Gorbatchow“ (პიესის ავტორი



სცენა სპექტაკლიდან „მიაუ“



სცენა სპექტაკლიდან „Love Rats“

დე და ამბავი აკლია. აუცილებელია აღვნიშნოთ მსახიობ ანი ცეცხლაძის ნიჭისა და დრამატიზმის გამონათება, რაც ჟიურის მგონი „გამოეპარა“. მან უპირატესობა უფრო განწყობით აგებულ როლს მიანიჭა და საუკეთესო მსახიობი ქალის ნამუშევრად მარიამ კიტას სონია (გასაგები ასოციაციები დოსტოვესკისთან და ჩეხოვთან!) მიიჩნია.

რაც შეეხება ნომინაციას „საუკეთესო მსახიობი მამაკაცი“, აქ უდავო ფავორიტად გაგა შიშინაშვილს მიიჩნევდნენ, სპექტაკლისათვის „მიაუ“, რომელიც თანამედროვე ამერიკელი დრამატურგის, სემ შვარცის პიესის მიხედვით მიხეილ ჩარკვიანმა დადგა. უნდა ითქვას, ზომიერების გრძნობით და ზედმეტად

მცა ზედმეტმა ფამილარობამ სცენაზე და გარკვეულმა უარყოფითმა სატელევიზიო იმიჯმა (სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“) თავისი როლი შეასრულა. სამაგიეროდ, თავად პაატა ციკოლიას სპექტაკლის (თავისივე პიესის მიხედვით) რეჟისურა ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია.

ჩემი აზრით, არანაკლებ ნიჭიერი ნინი ჩაკვეტაძის დახვეწილი რეჟისორული ოპუსი სახელწოდებით „არა უშავს“ სწორედ საუკეთესო რეჟისორულ ნამუშევრისათვის იმსახურებდა პრიზს და არა სპექტაკლისა. ინგლისელი დრამატურგის, დევიდ აივზის ამავე სახელწოდების პიესის შეუმჩნეველად გეგმვნიბან რეჟისურაში კარგად ეწერე-

დავით ჩიხლაძე, რეჟისორი თეონა მესტუმრე), „კრეპის უკანასკნელი ფირი“ (ბეკეტის პიესის მიხედვით, რეჟ. დავით ჩხარტიშვილი), „ახლა დაიძინებ“ (პაველ გლოვაცკის მიხედვით, რეჟ. მაია დობოროჯგინიძე) და „მიაუ“ (რეჟ. მიშა ჩარკვიანი). საინტერესოა, რომ ორგანიზატორებმა კამერული და ყველაზე ხარისხიანი სპექტაკლები ფესტივალის დასასრულისთვის შემოინახეს.

უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალ წელს „არდიფესტი“ სპექტაკლის ხარისხის გაზრდას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. ნორჩი, ნიჭიერი და „ობოლი“ დრამატურგები კი „ტკბილი სახლის“ დიასახლისებისა და მამასახლისების ბიოგრაფიულ დრამებსაც გვაზიარებენ. ■

ხილავ ხითხაე ბაბიმახჯოს იახალო, შენ!



კახა თოლორდავა

გასული წლის აპრილში, სტატიამი „გამარჯობა, იარალო!“ მე ვწერდი, რომ თბილისში ხეტიალისას სულ უფრო და უფრო ხშირად ვხედავ იარაღს, ცივს და ცხელს, ძირითადად, მოზარდების ხელში. მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა და ისევ მინდა, ამ თემას დავუბრუნდე. თემატური კრიზისი აქ ნამდვილად არაფერ შუაშია, რადგანაც სრული დარწმუნებით მინდა გითხრა, რომ ამ ხნის განმავლობაში იარაღის რაოდენობამ ქუჩაში არათუ იკლო, არამედ ბევრად, ბევრად იმატა. იმატა მოზარდებში აგრესიამაც. ისინი დაუნდობლად უსწორდებიან ერთმანეთს და ყველას, ვინც თვალში არ მოუვათ და ეს არ ეხება რომელიმე ერთ უბანს ან თუნდაც გარეუბნებს, სადაც, როგორც წესი, ქუჩის დანაშაულთა მაჩვენებელი უფრო დიდია ხოლმე. პირადად ჩემ ჩანაწერებში მხოლოდ უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში თორმეტი ვახსენე ქალაქის ქუჩებში მოზარდების ხელში თვალმოკრული დანები, პისტოლეტები და ქუჩური „რაზბორკები.“ ყველა ამ შემთხვევაში, იარაღის პატრონები იქცეოდნენ ისე, თითქოს იარაღის ტარება ქუჩაში არ არის რისკთან არ იყოს დაკავშირებული. არაფერი მელანდება და რაც მთავარია, არაფერს ვაბუქებ, რადგანაც იმავე ჩანაწერებში ბევრად უფრო ხშირადაა ნახსენები სხვების მიერ ჩემთვის მოყოლილი შემთხვევები და არავითარი საბაბი არ მაქვს, მათ სიტყვას არ ვენდო.

დრამატურგიის უმარტივესი კანონების მიხედვით, თუ, მაგალითად, ფილმის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ კედელზე დაკიდებულ იარაღს, მაშინ წესით იმ იარაღმა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად უნდა გაისროლოს. შესაბამისად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თბილისელი მოზარდები გაორმაგებული ძალებით იარაღდებიან, ადრე თუ გვიან, ეს ყველაფერი იმაზე ცუდად შეიძლება დასრულდეს, ვიდრე ჩვენ შეიძლება მოველოდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ცოტა ხნის წინ გასული გრძელვადიანი სატელევიზიო კამპანია იმის თაობაზე, თუ რა ცუდი ტიპები არიან დანიანი ბიჭები, არაფრის მომცემი იყო, ძირითადად იმიტომ, რომ ეს არაა ის ბრძოლა, რომელსაც ტელევიზიის მეშვეობით მოიგებ. მედია შეიძლება დამხმარე საშუალებად გამოიყენოს, მაგრამ არა ძირითად იარაღად. ყველაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ მე ჯერ ვერ ვხედავ იმ საზოგადოებრივ პოზიციას, რაც ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ საერთოდ ვაღიარებთ ამ პრობლემის არსებობას.



მშობლების გარკვეულმა ნაწილმა იცის, რომ მათი შვილები დანებს ატარებენ; არის ნაწილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მათ შვილებს იარაღთან არანაირი კავშირი არა აქვს, თუმცა ცდებიან; და არის ის ნაწილიც, ვინც ყველაფერი იცის, ცდილობს რაიმე იღონოს, მაგრამ არაფერი გამოსდის, რადგანაც შვილები აშკარად ჯაბნიან მათ ტყუილში, გაქნილობაში, ა.შ. დანების და პისტოლეტების სამალავების რაოდენობა ქუჩებში იზრდება და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მათი მოხმარების შემთხვევებიც ხშირდება. ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით, შეუძლებელია არ ვიცოდეთ, რადგანაც დანაშაული თბილისის ქუჩებში ქალაქური ისტორიების შემადგენელი ნაწილი გახდა, უფრო სწორად, ყოველთვის იყო, მაგრამ მგონია, რომ ამ ბოლო დროს ასეთი ისტორიების მოსმენა იმაზე ხშირად მიწევს, ვიდრე ოდესმე.

„ვილაც ორმა ბიჭმა ჩამიარა, ერთი ხელში დიდ ბებუთს ატრიალებს. ისინი რაღაცაზე იცინიან...“ „აქ ეტყობა ჩხუბი მოხდება, შუბლი შუბლზე უდევთ; სამს ხელში გახსნილი დანები უჭირავთ...“ „მეორე სართულიდან ვხედავ, ქვემოთ მანქანაში მოზარდები სხედან; მომცრო ზომის პისტოლეტი ხელიდან ხელში გადადის...“ „თორმეტიოდე მოზარდი ეზოში; ისინი რაღაცაზე საუბრობენ; აქედან ორს ხელში დანა უჭირავს...“ – ეს სულ რამდენიმე ამონაწერი ჩემი ბლოკნოტებიდან. დრამატურგიის უმარტივესი კანონების მიხედვით, თუ ფილმის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ კედელზე დაკიდებულ იარაღს, მაშინ წესით იმ იარაღმა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად უნდა გაისროლოს. ■



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშურნი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

